პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 189 (5290) | ხუთშაბათი, 18 აგვისტო 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

საბჭოთა ავიაციის დღე



სოციალისტური სამშობლოს ამაყი შევარდნები, საბჭოთა კავშირის გმირი მფრინავები: (ზევით) ა. ბელიაკოვი, ი. დორონინი, ვ. ჩკალოვი, მ. გრომოვი, ა. ლიაპიდევსკი, ი. სპირინი, გ. ბაიდუკოვი, ა. იუმაშევი, მ. სლეპნევი, ვ. კოკინაკი, (ქვევით) გოლოვინი, მ. ვოდოპიანოვი, ვ. მოლოკოვი, ალექსეევი, ნ. კამანინი, დანილინი, ბრიანდინსკი.

ნახატი და ფოტომონტაჟი — მხატვარ ი. კოქიაშვილისა

სტალინური ავიაცია

დღეს საბჭოთა ქვეყნის მრავალრიცხოვან აეროდრომებზე აფრინდებიან ჩვენი სამშობლოს ათასობით ამაყი შევარდნები და მთელ ქვეყნიერებას უჩვენებენ თავიანთ ვირტუოზულ ხელოვნებას, ჩვენი ბრწყინვალე თვითმფრინავების ძალასა და ძლიერებას. ეს იქნება სოციალიზმის ქვეყნის სტალინური ავიაციის ზეიმი, რომელიც ამავე დროს მთელი საბჭოთა ხალხის ზეიმია.

საბჭოთა ხალხი ამაყობს თავისი გმირული ავიაციით, შესანიშნავი, ძლავრი, სწრაფი და გამძლე თვითმფრინავებით, რადგან ჩვენი ავიაციის სიმძლავრეში, როგორც სარკეში, ასახულია ჩვენი მრეწველობის სიმძლავრე, მთელი ჩვენი ქვეყნის ძალა და უძლეველობა.

საბჭოთა თვითმფრინავებისათვის არ არსებობს საზღვრები, გადაულახავი სიმაღლეები, არ არსებობს მიუწვდომელი სივრცეები და მიუდგომელი ციხე-სიმაგრეები. ისინი დაფრენენ ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყოველ მხარეში და ცის კამარამდე აქვთ ძვირფასი, ცეცხლოვანი ასოები: „სსრკ". სტალინური ავიაციის სახელოვან დროშაზე ამოქარგულია საბრძოლო ლოზუნგი: ფრენა ყველაზე შორს, ყველაზე მაღლა და ყველაზე სწრაფად!

საბჭოთა ხალხი ამაყობს თავისი მშვენიერი საავიაციო კადრებით, სახელოვანი გმირი მფრინავებით, რომლებიც გამოსული არიან თვით ხალხიდან და წარმოადგენენ ხალხის სისხლსა და ხორცს. როგორიც ხალხია, ისეთივე არიან მფრინავები!

გმირი მფრინავები, — ჩვენი სამშობლოს ამაყი შევარდნების ბრწყინვალე პლეადა, რომლებმაც თავიანთი ლეგენდარული გაფრენებით სოციალიზმის ავიაციას საუკუნო სახელი და დიდება მოუხვეჭეს, გამოზარდა ბოლშევიკურმა პარტიამ, გამოზარდა პირადად დიდმა სტალინმა. ამიტომ არის, რომ ჩვენმა მფრინავებმა არ იციან რა არის შიში და წარმატებით სძლევენ ყველა და ყოველგვარ დაბრკოლებას მიზნისაკენ მიმავალ გზაზე. გრომოვები, ჩკალოვები და კოკინაკები, რომელთა სახელებს მთელი მსოფლიო იცნობს, ანსახიერებენ ბოლშევიკური პარტიის მიერ, დიდი სტალინის მიერ აღზრდილთა, კომუნიზმისათვის შეუდრეკელ მებრძოლთა მილიონების საუკეთესო თვისებებს. ამ მამაც ადამიანებს არ ეშინიათ უკუნი სიბნელისა და მძაფრი ქარიშხლისა, მკაცრი არქტიკისა და დაუნდობელი ჩრდილოეთის პოლუსისა, მათ არ აშინებთ ბუნების არავითარი მრისხანება, და აბობოქრებულ სტიქიასთან ბრძოლის უაღრესად მძიმე წუთებშიც კი არ ჰკარგავენ რა საბოლოო გამარჯვების რწმენას, მშვიდად განაგრძობენ ძლევამოსილ სვლას სტალინური მარშრუტით ზღვებისა და უდაბნოების თავზე, დღით და ღამით.

ჭეშმარიტად ბედნიერია ჩვენი დიადი სამშობლო, რომელსაც ჰყავს ისეთი გმირები, როგორიც არიან გრომოვი, ჩკალოვი, კოკინაკი, ვოდოპიანოვი, მოლოკოვი და მათი ნაცადი ამხანაგები. ბედნიერნი არიან ეს სახელოვანი გმირები, რომ მათ აქვთ ისეთი სამშობლო, როგორიცაა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

მაშინ როდესაც ფაშისტური ქვეყნების ავიაცია ბარბაროსულად ანადგურებს ესპანეთისა და ჩინეთის დაუცავ ქალაქებსა და სოფლებს, ცუმბარებს უშენს მშვიდობიან მოსახლეობას, არ ინდობს არც ქალებს, არც უსუსურ ბავშვებს, — ჩვენი ავიაცია, საბჭოთა ქვეყნის სტალინური ავიაცია ემსახურება მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობას, ემსახურება საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. საბჭოთა თვითმფრინავებს გადაჰყავთ ავადმყოფები და გადააქვთ წამლები, ისინი სპობენ მინდვრის მავნებლებს და აწარმოებენ ჰაერიდან თესვას საკოლმეურნეო მინდვრებზე.

მთელმა მსოფლიომ იცის, რომ სსრ კავშირის ავიაცია მშვიდობიანობის იარაღია, რომ იგი ემსახურება საყოველთაო მშვიდობიანობის საქმეს, საკაცობრიო კულტურისა და პროგრესის საქმეს. მაგრამ ომის ფაშისტი გამჩაღებლები ვერ ისვენებენ. მათ სურთ თავს დაესხან მთელი მსოფლიოს მშრომელთა ერთადერთ სამშობლოს—სსრ კავშირს და გამალებით ემზადებიან მის წინააღმდეგ ომისათვის.

მძლავრმა საბჭოთა ხალხმა კარგად იცის, რომ შესაძლოა დადგეს მრისხანე საათი, და სავსებით მზად არის იმისათვის, რომ გამანადგურებელი პასუხი გასცეს ყოველგვარ მტერს, საიდანაც არ უნდა მოვიდეს იგი.

„ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობიანობას და ვიცავთ მშვიდობიანობის საქმეს. მაგრამ ჩვენ არ გვეშინია მუქარის და მზად ვართ დარტყმით ვუპასუხოთ ომის გამჩაღებელთა დარტყმას".

ასე სთქვა დიდმა სტალინმა. ამას ამბობენ და ფიქრობენ ჩვენი გმირი მფრინავები, ამას ამბობს და ფიქრობს მთელი საბჭოთა ხალხი.

ავიაციის დღეს—მხურვალე ბოლშევიკური სალამი ჩვენი სამშობლოს ამაყ შევარდნებს!

ქვანახშირის გამოღება 16/VIII

(ც ნ ო ბ ი თ)

	გეგმა	გამოღება	შეს. პროც.
სულ . . .	**1512**	**1441**	**95,3**
ტყიბული . . .	845	854	101,8
ტყვარჩელი . . .	667	587	88

სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

საინფორმაციო ცნობა

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 1938 წლის 17 აგვისტოს შეერთებული სხდომის შესახებ

გუშინ, 17 აგვისტოს, დღის 1 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს შეერთებული მესამე სხდომა.

თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო იწყებს სესიის დღის წესრიგის მესამე პუნქტის განხილვას — სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს არჩევნები.

კავშირის საბჭოს უხუცესთა საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს უხუცესთა საბჭოს სახელით დეპუტატი **ა. ე. ბადაევი** გამოდის მოხსენებით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს არჩევნების შესახებ და შემოაქვს წინადადება იმ კანდიდატთა შემადგენლობის შესახებ, რომელთაც უხუცესთა საბჭოები ასახელებენ სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ღებულობს დადგენილებას — არჩეულ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო 45 კაცის შემადგენლობით. უმაღლესი საბჭო პერსონალური კენჭისყრით ირჩევს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ ამხ. ივანე ტერენტის-ძე **გოლიაკოვს** და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრებად ამხანაგებს: გიორგი ალექსის-ძე **ალექსეევს**, უსმან **აბდურახმანოვს**, ალექსან ალაბეგის-ძე **ალექსანიანს**, მიხეილ ალექსის-ძე **ბოიარკინს**, ალექსი ალექსის-ძე **ბულენკოვს**, ვასილ ვასილის-ძე **ბუკანოვს**, ეკატერინე არხიპოს-ასულს **ვოლკს**, ანდრია გრიგოლის-ძე **გუსევს**, ივანე ვასილის-ძე **დეტისტოვს**, ლეონიდე დიმიტრის-ძე **დმიტრიევს**, დიმიტრი იაკობის-ძე **ჟუკოვს**, ივანე მიხეილის-ძე **ზარიანოვს**, ბორის ივანეს-ძე **იევლევს**, პეტრე ალექსის-ძე **კამერონს**, ნური **ყარაჯაევას**, თევდორე არსენის-ძე **კლიმინს**, ივანე ვლადიმერის-ძე **კორნევს**, რაისა იაკობის-ასულს **კორობკოს**, დიმიტრი იაკობის-ძე **კანდიბინს**, სერგეი ტერენტის-ძე **ლოდისევს**, მარიამ ნიკოლოზის-ასულს **მალინინას**, ივანე ოსიპის-ძე **მატულევიჩს**, ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე **ნაუმოვს**, იონა ტიმოთეს-ძე **ნიკიტჩენკოს**, ანა ნაზარის-ასულს **ნაზაროვას**, პავლე ექვთიმეს-ძე **ორლოვსკის**, ივანე კონსტანტინეს-ძე **ოგურცოვს**, ალექსანდრე მოსეს-ძე **ორლოვს**, კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე **პონკრატოვს**, ჰაჯი მამედის-ძე **რახიმოვს**, ანა ალექსანდრეს-ასულს **რომანოვას**, მიხეილ გრიგოლის-ძე **რომანიჩევს**, ტუგულბაი **საკიევას**, ანდრია პეტრეს-ძე **სოლოდილოვს**, ლუბა კორნეის-ასულს **საულენკოს**, ევდოკია ვასილის-ასულს **სმირნოვას**, ანდრია გრიგოლის-ძე **სუსლინს**, ნიკოლოზ ალექსის-ძე **სოლონიცინს**, ვასილ ვასილის-ძე **ულრიხს**, ვლადიმერ ალექსის-ძე **უსპენსკის**, ბაიმუჰამედ **ჩაგიროვს**, ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე **ჩეპცოვს**, ათანასე ლევანის-ძე **ჩხეტიანს**, ჯარიფ **შარიფოვს.**

კავშირის საბჭოს უხუცესთა საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს უხუცესთა საბჭოს სახელით დეპუტატ ა. ე. **ბადაევს** შემოაქვს წინადადება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულების არჩევის შესახებ 20 კაცის შემადგენლობით. პერსონალური კენჭისყრით უმაღლესი საბჭო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულებად ირჩევს შემდეგ ამხანაგებს: მასტურა **ავეზოვას**, ტულეუ **ალდაბერგენოვს**, სტეფანე ნიკიტის-ძე **ბარიშევს**, რომან ვასილის-ძე **ბელანს**, მირონ დიმიტრის-ძე **დიუკანოვს**, ვრიგოლ მარკელის-ძე **ილინს**, ოლღა თევდორეს-ასულს **ლეონოვას**, ნიკოლოზ ტიმოთეს-ძე **მალოუშინს**, ვასილ სტეფანეს-ძე **მინაევს**, ტიშაბაი **მირზაევს**, მირ ასადულა მირ ალესკერ ოღლი მირ **ყასიმოვს**, ვასილ თევდორეს-ძე **მოლიაკოვს**, ალექსანდრე სტეფანეს-ძე **ოგნევს**, პეტრე სიმონის-ძე **ორლოვს**, ნიკოლოზ სტეფანეს-ძე **სმეტანინს**, ცატურ ალეკოს-ძე **ცატურიანს**, ანდრია ვასილის-ძე **წიკლაურს**, მურადალ **ჩულეტოვს**, გალიმ შამსუტდინის-ძე **შამსუტდინოვს**, პელაგია ოსტაპის-ასულს **იაკუშს.**

შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო გადადის სესიის დღის წესრიგის მეოთხე პუნქტის — „სსრ კავშირის მოქალაქეობის" კანონის პროექტის განხილვაზე.

მოხსენებით „სსრ კავშირის მოქალაქეობის" კანონის პროექტის შესახებ გამოვიდა დეპუტატი ნ. ა. **ბულგანინი.**

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 1938 წლის 17 აგვისტოს შეერთებული სხდომის დღიური

17 აგვისტოს, დღის 1 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მესამე შეერთებული სხდომა.

ლოჟებში არიან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, სახალხო კომისრები.

თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი.**

დღის წესრიგში არის სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს არჩევნები და მოხსენება „სსრ კავშირის მოქალაქეობის" კანონის პროექტის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს არჩევნების საკითხზე მოხსენებით გამოდის დეპუტატი **ა. ე. ბადაევი.**

— საბჭოთა მართლმსაჯულება,— ამბობს ამხ. ბადაევი,—მიმართულია ხალხის მტრების — ტროცკისტ-ბუხარინელების და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ფაშისტი ჯაშუშების, მავნებლების, დივერსანტების, მკვლელებისა, სამშობლოს მოღალატეების და სოციალისტური საკუთრების მტაცებლების აღმოფხვრისაკენ.

ჩვენი მართლმსაჯულება მასთან ერთად ზრდის საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს სამშობლოსადმი და სოციალიზმის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით, საბჭოთა კანონების ზუსტი და განუხრელი შესრულების სულისკვეთებით, სოციალისტური საკუთრებისადმი სიფრთხილით მოპყრობის სულისკვეთებით, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოვალეობისადმი კეთილსინდისიერი მოპყრობისა და სოციალისტური ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

ამოცანები, რომლებიც საბჭოთა სასამართლოს წინაშე სდგას დიდი და უაღრესად პასუხსაგებია. ამიტომ ის ადამიანებიც, რომლებიც ხალხის ნება-სურვილით იგზავნება ამ ამოცანების შესასრულებლად, უმწიკვლოდ პატიოსნები, ჩვენი დიადი სამშობლოს ერთგული შვილები, ლენინ-სტალინის საქმის, სოციალიზმის საქმის ერთგული შვილები უნდა იყვნენ.

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

ჩვენი ავიაცია ამყარებს მსოფლიო რეკორდებს

წელს 18 აგვისტო, ისევე როგორც ყოველ წელს, სოციალისტური ავიაციის ახალ გამარჯვებათა და მიღწევათა ზეიმის დღეა. ორი სტალინური ხუთწლედის მანძილზე საჰაერო ძალებმა მიიღეს სრულყოფილი, სამშობლოს ქარხნებში დამზადებული მატერიალური ნაწილი. თვითმფრინავები, მოტორები, შეიარაღება და მოწყობილობა—ყოველივე ეს კონსტრუირებულია ჩვენი საბჭოთა ინჟინრების მიერ ჩვენს ქარხნებში, საბჭოთა მასალებისაგან. ჩვენი ავიაცია ჭეშმარიტად სახალხოა. ის გარემოება, რომ მსოფლიოში პირველი სოციალისტური ავიაციის მშენებლობაში უშუალოდ მონაწილეობენ ფართო მასები, ფართოდ შლის მისი შემდგომი განმტკიცებისა და ზრდის პერსპექტივებს, გამარჯვებათა და მიღწევათა პერსპექტივებს.

ჯერ კიდევ ათი წლის წინათ ჩვენს ავიაციას არ შეეძლო შესჯიბრებოდა კაპიტალისტური ქვეყნების ავიაციას მსოფლიო რეკორდებისათვის ბრძოლაში. ახლა ჩვენი ავიაცია, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი, გამოვიდა საერთაშორისო ასპარეზზე და ერთიმეორეზე ამყარებს მსოფლიო რეკორდებს.

მაგრამ ჩვენ მიერ მიღწეული წარმატებანი საბჭოთა ავიაციის შესაძლებლობათა ზღვარი როდია. ჩვენ მტკიცე რწმენით მივდივართ სულ წინ და წინ, და ვწყვეტთ იმ ამოცანას, რომელიც ჩვენ დავისახეთ — ვიფრინოთ მსოფლიოში ყველაზე მაღლა, ყველაზე შორს და ყველაზე სწრაფად.

წელს ჩვენი საავიაციო დღესასწაული ტარდება უაღრესად რთულ საერთაშორისო ვითარებაში. წელს ჩვენი ქვეყნის საჰაერო სიმძლავრის დათვალიერება უნდა გადაიქცეს ხალხსა და მის მშობლიურ უძლეველ სტალინურ ავიაციას შორის კავშირის კიდევ უფრო განმტკიცების დღედ.

ვ. ჩკალოვი

საბჭოთა კავშირის გმირი.

ჩვენ სიჩქარეზე ვიფრენთ სტრატოსფეროში

იოსებ ბესარიონის-ძის დავალებით მე და ბრიანდინსკი ამა წლის 27 ივლისს ჩავსხედით თვითმფრინავ „მოსკვაში" და 24 საათსა და 36 წუთში მივფრინდით შორეულ აღმოსავლეთამდე. ჩვენი საბჭოთა კავშირის შორეული განაპირა მხარე ამ შემთხვევაში ახლობელი გავხადეთ მე და ბრიანდინსკიმ. მაგრამ თუ ჩვენი დიადი სამშობლო მოითხოვს, ჩვენი მარშრუტით ასევე სწრაფად გაფრინდება მრავალი საჰაერო ესკადრილია და იპოვის მტერს, სადაც არ უნდა დაიმალოს იგი.

საავიაციო „ჭერს" უდიდესი მნიშვნელობა აქვს ომის დროს. ამიტომ უკანასკნელ წლებში ბევრი ქვეყნის მფრინავი მიისწრაფოდა იქითკენ, რომ ეფრინათ არა მარტო შორს და სწრაფად, არამედ მაღლაც. ფრენის სიმაღლე ავიაციის მიუწვდომლობის გარანტიაა. მაღალი „ჭერი" ომის დროს შესაძლებლობას იძლევა მოულოდნელად და მინიმალური დანაკარგებით მოახდინო დარტყმა მოწინააღმდეგეზე.

ვიბრძვი რა საბჭოთა საჰაერო „ჭერის" ამაღლებისათვის, მე არ მიყვარს ფრენა თვითმფრინავ-უნიკუმებით, როგორც იქცევიან საზღვარგარეთ, სადაც რეკორდებს ამყარებენ სპეციალურად აგებულ თვითმფრინავებზე. საბჭოთა მფრინავს უნდა შეეძლოს ჩვეულებრივი სერიული მანქანით ყოველგვარ ვითარებაში აამაღლოს ჩვენი ავიაციის „ჭერი" იმისათვის, რომ მიღწეულ სიმაღლეზე რაც შეიძლება უფრო შორს, მეტი სიჩქარით და უფრო უშიშრად გადაიტანოს კომერციული თუ სხვა ტვირთები... დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე მე დარწმუნებული ვარ, რომ შორს არ არის ის დრო, როდესაც ჩვენ სიჩქარეზე ვიფრენთ სტრატოსფეროში.

მაშ ვიბრძოლოთ ჩვენი ავიაციის ძლიერების განმტკიცებისათვის, ავამაღლოთ ჩვენი ცოდნა, აღვიზარდოთ სიმამაცე, გამბედაობა, სიმტკიცე, აუღელვებლობა და სიმედგრე. მფრინავთა უსაზღვრო ერთგულება სოციალისტური სამშობლოსადმი საბჭოთა ავიაციის განვითარების ერთერთი მძლავრი საშუალებაა.

ვ. კოკინაკი

საბჭოთა კავშირის გმირი.

ჩარლზ ლინდბერგი მოსკოვში

მოსკოვი, 17 აგვისტო (საკდეპ-სი). 17 აგვისტოს მოსკოვს მოფრინდა ცნობილი ამერიკელი მფრინავი ჩარლზ ლინდბერგი, რომელიც ცოლთან ერთად ტურისტულ ფრენას აწყობს.

მისი თვითმფრინავი საღამოს 8 საათსა და 32 წუთს დაეშვა ცენტრალურ აეროდრომზე ჩ. ლინდბერგს შეხვდნენ საბჭოთა კავშირის გმირი პოლკოვნიკი მ. ტ. სლეპნევი, უხუცესი პილოტი ბ. ი. როსინსკი, ამერიკის შეერთებული შტატების საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ბ-ნი ა. კერკი, ამერიკის საელჩოს სამხედრო ატაშე პოდპოლკოვნიკი ფ. ფეიმონვილი, ამერიკის საელჩოს თანამშრომლები, მფრინავები, საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 1938 წლის 17 აგვისტოს შეერთებული სხდომის დღიური

(დასასრული)

კავშირის საბჭოს უხუცესთა საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს უხუცესთა საბჭოს სახელით ამხ. ბადაევს წინადადება შემოაქვს არჩეული იქნას სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო 45 კაცის შემადგენლობით. წინადადება მიღებულ იქნა ერთხმად.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ ერთხმად ირჩევენ **ი. ტ. გოლიაკოვს.**

შემდეგ პერსონალური კენჭისყრით ერთხმად ირჩევენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 44 წევრს.

კავშირის საბჭოს უხუცესთა საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს უხუცესთა საბჭოს სახელით ამხ. ბადაევს წინადადება შემოაქვს არჩეულ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 20 სახალხო მსაჯული. პერსონალური კენჭისყრით უმაღლესი საბჭო ირჩევს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 20 სახალხო მსაჯულს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს არჩევნების შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო გადადის დღის წესრიგის მეოთხე პუნქტის — „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ“ კანონის პროექტის განხილვაზე.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **ნ. ა. ბულგანინს.**

— კანონს „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ“, რომლის პროექტი მე უნდა მოვახსენო სესიას სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დავალებით, — ამბობს ამხ. ბულგანინი, — განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსათვის. ეს კანონი აწესებს, თუ ვინ არის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქე.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ და დიდმა ლენინმა დააწესეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქის წოდება. ამხანაგმა სტალინმა და მის მიერ შექმნილმა კონსტიტუციამ განუზომლად აამაღლეს სსრ კავშირის მოქალაქის ეს წოდება.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქე ღირსი უნდა იყოს იმ უფლებებისა და ვალდებულებებისა, რომელიც მას სტალინურმა კონსტიტუციამ მიანიჭა.

მოქალაქეობის შესახებ კანონის პროექტი გამომდინარეობს ურღვევი პრინციპიდან, რომ სოციალისტურ სახელმწიფოში მოქალაქენი დამოუკიდებლად მათი ეროვნებისა და რასისა, და აგრეთვე დამოუკიდებლად სქესისა, თანასწორუფლებიანნი არიან სახელმწიფო, სამეურნეო, კულტურულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში.

ამხ. ბულგანინი აღნიშნავს, რომ ფაშისტურმა ქვეყნებმა მოქალაქეობის შესახებ თავისი კანონმდებლობით საშუალო საუკუნის ურჯულოებასა და ბნელეთის მოციქულებს გადააჭარბეს. როგორც ცნობილია, მათ წამოაყენეს კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე უფრო ველური რასიზმის „თეორია“. გერმანიის ფაშიზმის დაფნის გვირგვინი მოსვენებას არ აძლევს იტალიის ფაშიზმს, რომელიც ჰბაძავს ჰიტლერის ბნელეთის მოციქულებს.

მხოლოდ სოციალიზმის ქვეყანაშია შესაძლებელი ისეთი კანონი მოქალაქეობის შესახებ, როგორიც არის ჩვენი კანონი. ეს კანონი კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე უფრო რევოლუციური კანონია მოქალაქეობის შესახებ. ჩვენი სახელმწიფო — საკავშირო სახელმწიფოა, რომელიც ჩამოყალიბებულია თანასწორუფლებიან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე. კავშირის წინაშე ყველა მოკავშირე რესპუბლიკა თანასწორუფლებიანია.

კანონპროექტის პირველ მუხლში მოყვანილია დებულება სტალინური კონსტიტუციისა, რომელიც ერთიან საკავშირო მოქალაქეობას აწესებს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეთათვის. მოკავშირე რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე საბჭოთა სოციალისტური კავშირის მოქალაქეა. ყველა რესპუბლიკა თანასწორია კავშირის წინაშე, რესპუბლიკის ყველა მოქალაქე კავშირის მოქალაქეა და თანასწორი უფლებებით სარგებლობს.

კანონის პროექტი ზუსტად განსაზღვრავს, თუ ვინ არის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქე. სსრ კავშირის მოქალაქეები არიან ყველა ისინი, ვინც 1917 წლის 7 ნოემბრისათვის ყოფილი რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი იყო და არ დაუკარგავს საბჭოთა მოქალაქეობა, აგრეთვე ის პირნი, რომელთაც საბჭოთა მოქალაქეობა მოიპოვეს კანონის მიერ დაწესებული წესით.

უცხოელები, მიუხედავად მათი ეროვნებისა და რასისა, სსრ კავშირის მოქალაქეებად მიიღებიან მათი შუამდგომლობის თანახმად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ან იმ მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ, რომლის ფარგლებშიც ისინი ცხოვრობენ.

სსრ კავშირის მოქალაქეობიდან გამოსვლის ნებართვას იძლევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

სსრ კავშირის მოქალაქის ქორწინება ისეთ პირთან, რომელსაც არა აქვს სსრ კავშირის მოქალაქეობა, მოქალაქეობის შეცვლას არ იწვევს.

კანონის პროექტის თანახმად, იმ შემთხვევებში, როდესაც მშობლები თავის მოქალაქეობას იცვლიან და სსრ კავშირის მოქალაქეები ხდებიან ან სსრ კავშირის მოქალაქეობიდან გადიან, შესაბამისად იცვლება მოქალაქეობა მათი ბავშვებისა, რომელთაც არ შესრულებიათ 14 წელი.

მოქალაქეობის შეცვლისათვის კანონის პროექტი მოითხოვს 14-დან 18 წლის ასაკის ბავშვების თანხმობას.

მოქალაქეობის უფლების წართმევა შეიძლება მოხდეს სასამართლოს განაჩენით — კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ან თვითეულ შემთხვევაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსაკუთრებული ბრძანებულებით.

ის პირნი, რომელნიც სსრ კავშირის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, და არ არიან საბჭოთა კავშირის მოქალაქეები და არა აქვთ იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ უცხო სახელმწიფოს ეკუთვნიან, უმოქალაქო პირებად ითვლებიან.

ასეთია შინაარსი „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ“ მთავრობის მიერ შემუშავებულ კანონის პროექტისა.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვებს ყველა დეპუტატი და სტუმარი ხვდება მხურვალე ოვაციით ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

თავმჯდომარე — ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი** აუწყებს სხდომას, რომ განხილვა კანონისა, „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ“ ცალკე პალატებში მოხდება.

ამით მთავრდება კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს შეერთებული სხდომა. (საკდესი).

გავაუმჯობესოთ თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობა

თავდაცვა-ავიაქიმმა — სსრ კავშირის მოქალაქეთა მძლავრმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ მთელი თავისი მოქმედებით უნდა გააფართოვოს და განამტკიცოს მასობრივი თავდაცვითი მუშაობა და მილიონობით მოქალაქეთ შეასწავლოს სამხედრო საქმე. ამისათვის ჩვენ გვესაჭიროება თავდაცვა-ავიაქიმის მტკიცე, ბრძოლისუნარიანი პირველადი ორგანიზაციები ყველა საწარმოში, კოლმეურნეობაში, დაწესებულებაში, სახლში და სკოლაში.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ზოგიერთ რაიონულ საბჭოებსა და პირველადს ორგანიზაციებს ჯერ კიდევ არა აქვთ სათანადოდ შეგნებული ჩვენი საზოგადოების განმტკიცების მთელი მნიშვნელობა, რის შედეგად თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობის მთელი რიგი საკითხები ჩამორჩენილია, ხოლო ზოგი მათგანი ჩაშლილიცაა.

ზოგ შემთხვევაში თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციების საბჭოების თავმჯდომარეები თავიანთი უმოქმედობით ხელს უწყობენ ადგილებზე თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობის ჩაშლას. ასე, მაგალითად, საქნავთის სარეწაოებზე თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობა ჩაშლილია, თავდაცვითი კადრების მომზადებაზე არავინ ზრუნავს. საზოგადოების წევრთა აღურიცხაობა, საწევრო გადასახდელთა დიდი დავალიანება, კრებების სრულებით ჩაუტარებლობა, ქონების გაფუჭება და დატაცება, სახსრების გაფლანგვა—აი თავდაცვა-ავიაქიმის საქნავთის პირველადი ორგანიზაციის და კერძოდ მისი ხელმძღვანელის ამხ. ლომაშვილის „საქმიანობის“ ნაყოფი. საზოგადოების წევრ-მუშათა სამართლიანი მოთხოვნები პრაქტიკული თავდაცვითი მუშაობის მოწყობის შესახებ უყურადღებოდ არის მიტოვებული. თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობას გულგრილად ეკიდებიან საქნავთის პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები. პარტკომის მდივანი და რაისარეწაო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ბოსტაშვილი თავდაცვა-ავიაქიმს არ ხელმძღვანელობენ და დახმარებას არ უწევენ. ამაში ბრალი მიუძღვის თავდაცვა-ავიაქიმის სიღნაღის რაისაბჭოს, რომელმაც ვერ შესძლო ოპერატიული ხელმძღვანელობა გაეწია საქნავთში თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობისათვის და სათანადო სიმაღლეზე დაეყენებინა იგი.

თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის რაიონის პირველადს ორგანიზაციებშიც სუსტია მუშაობა. არ ხდება საზოგადოების წევრთა აღრიცხვა, როგორც პირველადს ორგანიზაციებსა, ისე თავდაცვა-ავიაქიმის რაისაბჭოშიაც. რაიონი სამარცხვინოდ ჩამორჩენილია საწევრო გადასახადთა შეკრების მხრივ, ხოლო მასობრივი თავდაცვითი მუშაობა ადგილებზე სავსებით მივიწყებულია.

თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის რაისაბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელმა ამხ. თხელიძემ 7 თვის განმავლობაში არ ინება რაისაბჭოს პრეზიდიუმის სხდომის მოწვევა თავდაცვითი მუშაობის პრაქტიკულ ღონისძიებათა განსახორციელებლად, იგი სისტემატურად არღვევდა საზოგადოების არჩევნების დემოკრატიულ პრინციპს. რაისაბჭოს პრეზიდიუმის მხრით ოპერატიული ხელმძღვანელობის უქონლობის და უმთავრესად მისი თავმჯდომარის ამხ. თხელიძის უმოქმედობის შედეგად, თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის რაიონის ბევრმა საკოლმეურნეო ორგანიზაციამ შესწყვიტა მუშაობა.

26 კომისრის სახელობის ქარხნის თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციის საბჭო ძალიან სუსტად მუშაობს (თავმჯდომარე ამხ. გაბარაევი).

ანალოგიური მდგომარეობაა თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაშიაც, სადაც თავდაცვა-ავიაქიმის პირველადს ორგანიზაციას (თავმჯდომარე ამხ. გონჩაროვი) დღემდე გაუნაღდებელი აქვს მე-12 ლოტარიის ბილეთები 1.500 მან. ღირებულების.

თბილისის თბოელექტროცენტრალის მშენებლობაზე (სტალინის რაიონი) თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარემ ამხ. ლომიძემ მოაგროვა ძველი საწევრო წიგნაკები და საწევრო გადასახდელები და სრულიად წავიდა მშენებლობიდან სხვა სამუშაოზე. ის ზედმეტად სთვლის მშენებლობაზე მისვლას და თავისი მუშაობის შესახებ ანგარიშის ჩაბარებას. საქმისადმი ასეთი დამოკიდებულების შედეგად, თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობა იქ ჩაიშალა.

თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობისადმი ასეთი უსულგულო და უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ეს ფაქტები მჭერმეტყველურად ღაღადებენ იმას, რომ ზემოჩამოთვლილ ორგანიზაციათა თავდაცვა-ავიაქიმის ხელმძღვანელებს და აგრეთვე პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს ადგილებზე არა აქვთ შეგნებული თავიანთი მოვალეობანი, რომელნიც გამომდინარეობენ დიდი სტალინის მითითებებიდან თავდაცვა-ავიაქიმის განმტკიცების საჭიროების შესახებ.

თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის საბჭომაც არ გამოიჩინა სათანადო ოპერატიულობა თავდაცვა-ავიაქიმის როგორც პირველადს ორგანიზაციებში, ისევე ქ. თბილისის რაიონული საბჭოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის რაისაბჭოს და საქნავთის სარეწაოებში (წითელ-წყაროს რაიონი) საბჭოს სრულიად არადამაკმაყოფილებელ მუშაობაში ბრალი მიუძღვის საქ. სსრ თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურ საბჭოსაც, რადგან მისმა მუშაკებმა, რომლებიც იმ ორგანიზაციებზე იყვნენ მიმაგრებულნი და იქ მივიდნენ, არ ამხილეს არსებული უმსგავსოებანი და არ მიიღეს სათანადო ზომები.

თავდაცვითი მუშაობა მოითხოვს პარტიული ორგანიზაციების მუდმივ ყურადღებასა და ხელმძღვანელობას, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციათა მუდმივ და აქტიურ დახმარებას. ამ უმნიშვნელოვანეს მუშაობაში თავდაცვა-ავიაქიმის ძირეულ ორგანიზაციებს ცოცხალი დახმარება და ოპერატიული ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ რაიონულმა საბჭოებმა, აგრეთვე საქალაქო და ცენტრალურმა საბჭოებმა.

გ. პაპოვიანი

საქ. სსრ თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს ინსტრუქტორი.

გერმანიის მანევრები აშკარად ემუქრება ჩეხოსლოვაკიას

პრაღა, 17 აგვისტო (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის პრესა აქვეყნებს დღეს ცნობებს გერმანიის არმიის მანევრების დაწყების შესახებ.

მანევრები გასტანს ორ თვეს—15 აგვისტოდან 15 ოქტომბრამდე და იწარმოებს უპირატესად ჩეხოსლოვაკიისა და საფრანგეთის მოსაზღვრე რაიონებში — ბავარიაში, საქსონიაში, ავსტრიასა და რეინის ოლქში. მანევრებში მონაწილეობს რეგულარული ჯარის ნაწილების 750 ათასამდე ჯარისკაცი (ჯარისკაცები, რომლებიც ამ შემოდგომაზე ამთავრებენ სამსახურს, დატოვებული არიან არმიის რიგებში განუსაზღვრელი ვადით) და 750 ათასი რეზერვისტი. ამ 1,5 მილიონში არ შედის ათიათასობით მედპერსონალი—ექიმები, სამედიცინო დები; არ შედიან აგრეთვე ტრანსპორტისა და სხვა მუშები, რომლებიც უკვე გაწვეული არიან ჯარში. მანევრების გახსნას იუტერბოგის ბანაკში დაესწრნენ ჰიტლერი და გერინგი.

გერმანელ ხელისუფალთა და სამხედრო სარდლობის მთელი რიგი განკარგულებანი გვიჩვენებენ, რომ ეს ჩვეულებრივი მანევრები არ არის.

მთელი სახელმწიფო ფაქტიურად ისეთ მდგომარეობაში გადაჰყავთ, რომელიც უახლოვდება ომის დასაწყისს. გარდა იმისა, რომ გამოცხადებულია ყოფილ ოფიცერთა მობილიზაცია 65 წლის ასაკამდე და აკრძალული აქვთ მამაკაცებს 65 წლის ასაკამდე საზღვარგარეთ წასვლა, ათიათასობით მუშა-ქალებს, მოსამსახურე-ქალებს, შინამოსამსახურე-ქალებს და სხვ. წინადადება აქვთ მიცემული დაუყოვნებლივ გამოცხადდენ ადგილობრივ „შრომის ბიუროში“, სადაც ისინი სამობილიზაციო დანიშვნას მიიღებენ.

მრავალი მუშა და მოსამსახურე გადაჰყავთ სამხედრო სიმაგრეების მშენებლობაზე, მომანევრო ნაწილებისათვის სანგრების თხრაზე, დაზვერვითი ფუნქციების შესასრულებლად და სხვა.

მანევრების ერთერთი დამახასიათებელი მომენტი ის არის, რომ სხვადასხვა ადგილებში, უმთავრესად ჩეხოსლოვაკიის საზღვრის ახლობლად ქუჩაზე ბრძოლების „რეპეტიცია“ ტარდება. ეს ამოცანა დაკისრებული აქვს მოიერიშეთა დამცველთა რაზმებს („სს“). საქსონიასა და გერმანიის სილეზიაში ამ მიზნით თავი მოუყარეს 30 ათას მოიერიშეს.

იმ ვითარებამ, რომელშიც მანევრები ტარდება, ჯარის ეშელონების განუწყვეტელმა მოძრაობამ სახელმწიფოში, მთავრობის სამხედრო ღონისძიებებმა და სასაზღვრო სიმაგრეების მშენებლობაზე მუშების განუწყვეტლად გზავნამ პანიკა გამოიწვია გერმანიის მოსახლეობის ყველა ფენაში. საინტერესოა შემდეგი ფაქტები, რის შესახებაც ბერლინიდან იუწყებიან. ამ უკანასკნელი თვის განმავლობაში სამხედრო სიმაგრეთა მშენებლობაზე ბერლინიდან გაგზავნილია 250 ათასი მუშა, რომელთაც მობილიზებულად სთვლიან.

მუშებისა და რეზერვისტების გამგზავრებასთან დაკავშირებით, ბერლინის ვაგზლებზე მწვავი სცენები ხდება. ამ დღეებში პოსტდამის ვაგზლიდან მუშათა და რეზერვისტთა ტრანსპორტი იგზავნებოდა დასავლეთ საზღვარზე. მატარებელი 2 საათის დაგვიანებით გავიდა. მისცემდნენ თუ არა მატარებლის გასასვლელ სიგნალს, შემდეგ მუშები მუხრუჭებს უჭერდნენ და მატარებელი ჩერდებოდა. მატარებლის გაშვება მხოლოდ. იმის შემდეგ მოხერხდა, როდესაც მოვიდა გესტაპოს (გერმანიის საიდუმლო პოლიცია) რაზმი, რომელმაც გასასვლელები დაიკავა ყველა ვაგონში. ლაიპციგის ვაგზალზე მატარებელი დიდხანს ვერ გაუშვეს, ვინაიდან მობილიზებულთა ცოლები და ბავშვები, რომლებიც გასაცილებლად იყვნენ მოსული, არ გამოდიოდნენ ვაგონებიდან. პოლიციამ ძალით გამორეკა ვაგონებიდან გამცილებლები.

სამი დღის წინათ ბერლინის ვაგზლების ახლო მდებარე რაიონებში, მობილიზებულებით დატვირთული მატარებლის გასვლის შემდეგ გამცილებლებმა ომის საწინააღმდეგო გამოსვლები მოახდინეს. ცოლებმა და შვილებმა დემონსტრაცია მოაწყეს ქალაქის ქუჩებში; ისინი გაიძახოდნენ: „დაგვიბრუნეთ ჩვენი ქმრები და მამები, თქვენ ისინი სასაკლაოზე გაგზავნეთ“. მთელ რიგ ადგილებში დემონსტრანტები ქვებს უშენდნენ ოფიციალური შენობების ფანჯრებს, პოლიციამ დიდი გაჭირვებით შესძლო დემონსტრანტების გაფანტვა.

გერმანიის ჯარის მანევრების დაწყება და მათი ხასიათი სერიოზულ შიშს იწვევს ჩეხოსლოვაკიაში. ამ მანევრებს მთელი პრესა ისე ახასიათებს, როგორც სასინჯ მობილიზაციას და ქვეყნის გადაყვანას სამხედრო რელსებზე, როგორც ცდას — მიაღწიონ შანტაჟითა და იარაღის ჟღარუნით ჩეხოსლოვაკიის კაპიტულაციას გერმანული ფაშიზმის წინაშე. ყველა ანტიფაშისტური გაზეთი სიფხიზლისა და სიმშვიდისაკენ მოუწოდებს მთავრობას, არმიასა და ქვეყნის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და აღნიშნავს, რომ რესპუბლიკა სავსებით მომზადებულია „ყოველივე მოულოდნელობისათვის“.

ჰენლაინელები აძლიერებენ პროვოკაციულ საქმიანობას

პრაღა, 16 აგვისტო (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის საზღვართან გერმანიის არმიის მანევრების დაწყებასთან დაკავშირებით, ჰენლაინელებმა კვლავ გაშალეს ტერორი და პროვოკაციები სუდეტის ოლქში და აშკარად ამზადებენ შეიარაღებულ გამოსვლას. სუდეტის ოლქის ყველა დიდ ცენტრში დღედაღამ ატარებენ მოიერიშეთა რაზმების სარაიონო „წრთვნას“. ამ უკანასკნელ დღეებში პოლიციამ მთელ რიგ ადგილებში აღმოაჩინა იარაღის საწყობები.

მოიერიშენი იმარაგებენ მოტოციკლებს. ჰენლაინელებმა, რომლებსაც მოტოციკლები აქვთ, ბრძანება მიიღეს — „მუდამ მზად იყვნენ“. ჰენლაინელთა პარტიის ხელმძღვანელობის განკარგულებით, საფოსტო კავშირი ძირეულ ორგანიზაციებსა და ცენტრს შორის უქმდება. ამიერიდან ყოველგვარი გადაცემა მოიერიშეთა რაზმების „კავშირგაბმულობის ჯგუფების“ საშუალებით მოხდება. სხვადასხვა პუნქტებიდან მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ ჰენლაინელი მოიერიშენი თავს ესხმიან ანტიფაშისტებს და რომ გახშირდა სხვადასხვა ინციდენტებისა და შეტაკებების პროვოკაციები.

მოსაზღვრე რაიონებში ჰენლაინელთა „აქტივობის“ უფროდაუფრო გაძლიერება სერიოზულ შეშფოთებას იწვევს დემოკრატიულ მოსახლეობაში.

რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს სხდომა ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 16 აგვისტო. (საკდესი). დღეს პრეზიდენტ ბენეშის თავმჯდომარეობით შესდგება რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს სხდომა.

ხანძარი კელნის საოლქო სასამართლოს შენობაში

პრაღა, 17 აგვისტო (საკდესი). როგორც გაზეთ „პრაგერ პრესსე“ კორესპონდენტი იუწყება კელნიდან (გერმანია), 15 აგვისტოს საოლქო სასამართლოს შენობაში ხანძარი გაჩნდა. დაიწვა დაპატიმრებულთა საქმეების — აქტების დიდი ნაწილი. ამავე დროს ხანძარი გაჩნდა მთელ რიგ ოფიციალურ შენობებში. როგორც ადგილობრივი საპოლიციო ხელისუფალნი იუწყებიან, ხანძარის მიზეზია „ცეცხლის წაკიდება პოლიტიკური მოსაზრებებით“.

ჰიტლერი კვლავ მანევრებზე გაემგზავრა

პრაღა, 17 აგვისტო (საკდესი). როგორც გაზეთები იუწყებიან, ჰიტლერი კვლავ გაემგზავრა გერმანიის არმიის მანევრების რაიონში; მას განზრახული აქვს უახლოეს დღეებში დაესწროს სამხედრო ვარჯიშს ჩეხოსლოვაკიის საზღვართან.

ინგლისის ახალი ელჩის დანიშვნა სსრ კავშირში

ლონდონი, 16 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ინგლისის მეფემ მოიწონა უილიამ სიდსის დანიშვნა ელჩის თანამდებობაზე სსრ კავშირში ლორდ ჩილსტონის ნაცვლად, რომელიც გადადგომას აპირებს მიმდინარე წლის დამლევს.

სერ უილიამ სიდსი დაიბადა 1882 წელს. დიპლომატიური სამსახური დაიწყო 1904 წელს. მსახურებდა ვაშინგტონში, ბეიპინში, ათინაში, ლისაბონში, ბერლინში და მიუნხენში; იყო ელჩად კოლუმბიაში 1923—25 წლებში, ალბანიაში — 1926—28 წლებში და ბრიტანეთის ელჩად ბრაზილიაში 1930-35 წლებში.

ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ თანამგრძნობებს

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების პარტკომის მდივნების, პარტორგებისა და მათი მოადგილეების თათბირზე, რომელზეც მოსმენილ იქნა სამი მსხვილი პირველადი პარტორგანიზაციის ხელმძღვანელთა მოხსენებები თანამგრძნობთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, გამოირკვა, რომ რაიონის მთელი რიგი პირველადი პარტორგანიზაციები საკმაოდ არ ზრუნავენ თანამგრძნობთა ბოლშევიკურად აღზრდისათვის. ზოგან თანამგრძნობთა იდეური დონის ამაღლების საქმის აშკარა შეუფასებლობას იჩენენ. ზოგიერთ პირველადს პარტორგანიზაციაში თანამგრძნობები ჩაბმული არ არიან პოლიტსწავლებაში, მათ არ ეძლევათ პარტიული და საზოგადოებრივი დავალებები. ნელი ტემპით მიმდინარეობს თანამგრძნობთა ჯგუფების ზრდა. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა თანამგრძნობთა ჯგუფში ქალთა მიღების მხრივ.

ამჟამად რაიონში არის 1020 თანამგრძნობი, მათ შორის მხოლოდ 291 ქალია. ასევე არადამაკმაყოფილებელია ქალთა მიღება პარტიაში. პარტიაში მიღებული 318 თანამგრძნობიდან მხოლოდ 94 ქალია.

თათბირმა ამ საკითხზე მოისმინა ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის პარტკომის მდივნის ამხ. მიზრახის, ტრამვაისა და ტროლეიბუსების პარტკომის მდივნის მოადგილის ამხ. მანუკოვისა და კალინინის სახელობის ქარხნის პარტკომის მდივნის მოადგილის ამხ. მელქოიანის მოხსენებები.

ამხ. მანუკოვმა (ტრამვაისა და ტროლეიბუსების პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილე) თათბირს გააცნო, თუ როგორ მუშაობს ტრამვაისა და ტროლეიბუსების პარტიული ორგანიზაცია თანამგრძნობთა შორის, როგორ იბრძვის პარტიის რიგების ზრდისათვის და რა ნაკლოვანებები აქვს ამ საქმეში. აღნიშნულ ორგანიზაციასთან არსებულ თანამგრძნობთა ჯგუფში 117 კაცი ირიცხება. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ყველა თანამგრძნობი ჯერ კიდევ არ არის ჩაბმული პოლიტსწავლებაში. მათ არ ეძლევათ პარტიული დავალებები. მაგალითად, თანამგრძნობებს თამაზიანსა და ტომაროვს არავითარი დავალება არა აქვთ. პარტიული კომიტეტი იმით დაკმაყოფილდა, რომ ეს ამხანაგები პოლიტწრეებში ჩააბა. სუსტად არის დაყენებული უპარტიო აქტივთან მუშაობაც. სწორედ ამის შედეგია, რომ თანამგრძნობთა ჯგუფის ზრდა აღნიშნულ ორგანიზაციაში ნელი ტემპით მიმდინარეობს.

მოხსენებათა შემდეგ გაიმართა კამათი. პირველი სიტყვა აიღო ამხ. შუბლაძემ (პოლიგრაფკომბინატის პარტკომის მდივანი), რომელმაც ბევრი ილაპარაკა მიღწევებზე, ხოლო ცოტა სთქვა იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც პოლიგრაფკომბინატის პარტორგანიზაციას ახასიათებს თანამგრძნობთა შორის მუშაობაში. აღნიშნულ პარტორგანიზაციაში არ იწვევენ თანამგრძნობთა თათბირებს, იშვიათად იწვევენ მათ ღია პარტიულ კრებებზე.

კამათში გამოსული ამხანაგების სიტყვებიდან გამოირკვა, რომ ზოგან თანამგრძნობებზე მომზადებული კომუნისტების მიმაგრება ფორმალურ ხასიათს ატარებს. მაგალითად, კალინინის სახელობის ქარხანაში პარტკომის მდივანს ამხ. ერაძეს და მდივნის მოადგილეს მელქოიანს აღარც კი ახსოვთ, რომელი კომუნისტი რომელ თანამგრძნობს მიამაგრეს. არ ხდება შემოწმება, თუ როგორ ეხმარებიან „მიმაგრებულები“ თანამგრძნობებს. თანამგრძნობები სამანაშვილი, ბაბაინი, ხაჩატუროვი და ტუმასიანი სრულიად მოწყვეტილი არიან პარტიულ ხელმძღვანელობას. ხაჩატუროვი და ტუმასიანი პოლიტმეცადინეობას არც კი ესწრებიან. ყოველივე ამას პარტკომის მდივანი გულდამშვიდებით შესცქერის და არავითარ ზომას არ ღებულობს.

უკეთესი მდგომარეობა არც მთავარი საავადმყოფოს პარტორგანიზაციაშია. მაგალითად, აქ 10 თანამგრძნობს პარტიული და საზოგადოებრივი დავალება არა აქვს, თანამგრძნობებისათვის ჩამოყალიბებული არ არის პარტიის წესდებისა და პროგრამის შემსწავლელი წრე. პარტკომმა ორ თანამგრძნობს დოკუმენტებიც კი დაუკარგა.

ლუდის ქარხნის პირველადი ორგანიზაციის პარტკომის მდივანი ამხ. ჯაფარიძე არავითარ მუშაობას არ ატარებს უპარტიო აქტივთან, რის შედეგად თანამგრძნობთა ჯგუფის ზრდა თვითდინებაზეა მინდობილი.

დასასრულ შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) სტალინის რაიკომის მდივანი ამხ. გ. კიკაჩეიშვილი. მან აღნიშნა მიღწევები მთელ რიგ პირველადს პარტორგანიზაციებში, რომლებმაც კარგად დააყენეს თანამგრძნობთა ბოლშევიკურად აღზრდის საქმე (მაუდის ფაბრიკა, ლიმონათის ქარხანა, უნივერმაღი და სხვ.). აქვე გააკრიტიკა ის ორგანიზაციები, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ გარდაჰქმნეს თანამგრძნობთა შორის მუშაობა. თანამგრძნობებს პარტიულ მუშაობაში არ აბამენ. ცენტრალურ კლინიკაში 30 თანამგრძნობიდან ათს არა აქვს პარტიული დავალება, რაიონის საბინაო სამმართველოში 8 თანამგრძნობიდან პარტიული დავალება მიცემული აქვს მხოლოდ სამს, საქკურორტმშენის გარაჟში 23 თანამგრძნობია, მათ შორის პარტიული დავალება არა აქვს ხუთს.

კუიბიშევის სახელობის ქარხანაში არც პარტორგმა იცის და არც მისმა მოადგილემ, თუ რომელი კომუნისტი რომელ თანამგრძნობზეა მიმაგრებული.

საქქარხმშენის № 2 ქარხნის თანამგრძნობმა განაცხადა, — ამბობს ამხ. კიკაჩეიშვილი, — რამდენჯერმე მივედი ჩემზე მომაგრებულ კომუნისტ ამხ. ივანოვთან და ვთხოვე ესაუბრა ჩემთან სხვადასხვა საკითხებზე, რომლებიც მე მაინტერესებდა, მაგრამ ყოველთვის უარით გამომისტუმრა. ვერცერთხელ ჩემთვის ვერ მოიცალაო.

ზოგან პირველადი პარტორგანიზაციები სუსტად სწავლობენ თანამგრძნობებს. სტამბა „კომუნისტში“ თანამგრძნობები გოცირიძე და ბიწაძე ჩაბმულნი არიან დაწყებითს პოლიტწრეში, მაშინ როდესაც მათი პოლიტიკური მომზადების მიხედვით ისინი პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეში უნდა სწავლობდნენ. აგრეთვე შეიძლება მათი გამოყენება აგიტატორებად, მაგრამ პარტკომის მდივანი ამ საკითხით ჯერ არ დაინტერესებულა.

მთელ რიგ პირველადს პარტორგანიზაციებში ახლახან ჩატარებულ პარტიულ ღია კრებებზე, რომლებზეც საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობის შედეგები მუშავდებოდა, რატომღაც ყველა თანამგრძნობი არ დაისწრეს. ტრამვაის პარტორგანიზაციის ღია კრებაზე 117 თანამგრძნობიდან კრებას არ დასწრებია 77. მაუდის ფაბრიკის პარტორგანიზაციის კრებას არ დასწრებია—30, კალინინის ქარხნის პარტორგანიზაციის კრებას—16 და ა. შ.

დასასრულ, ამხ. კიკაჩეიშვილმა თათბირს დაუსახა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ თანამგრძნობთა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას, საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობის დადგენილებათა და ამხანაგ ლავრენტი ბერიას მოხსენებაში მოცემულ მითითებათა საფუძველზე.

რაიკომის ბიურო მხედველობაში მიიღებს თათბირზე აღნიშნულ ყველა საკითხს და ამ საფუძველზე გამოიმუშავებს კონკრეტულ ღონისძიებებს, რომელნიც სახელმძღვანელოდ დაეგზავნება ყველა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ს. იმხანოვი.

ალ. გვინჩიძე, ალ. გოგოლაძე

ქრონიკა

იაპონიის საელჩოს მრჩეველმა მოსკოვში ბ-ნმა ნისიმ გუშინ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს მიმართა განცხადებით იმის შესახებ, რომ მიღწეული შეთანხმება დროებითი ზავის შესახებ ხასანის ტბის რაიონში განხორციელებულია და რომ ორივე მხარის ჯარი ამჟამად გარკვეულ მანძილზე იმყოფება ერთი მეორისაგან. აქედან გამომდინარე, ბ-ნმა ნისიმ წინადადება შემოიტანა, რომ იმ შემთხვევაში, თუ შემდეგ წამოიჭრება საკითხები, რომლებიც მოითხოვენ იაპონიისა და საბჭოთა სამხედრო სარდლობის წარმომადგენლების შეხვედრას, ასეთი შეხვედრები მოსკოვსა და ტოკიოს შორის დიპლომატიური მოლაპარაკების გზით მოეწყოს. ბ-ნ ნისის უპასუხეს, რომ ეს წინადადება მისაღებია.

(საკდესი).

დაიწყო მეორე ხუთწლედის სესხის მერვე ტირაჟი

სვერდლოვსკი, 17 აგვისტო (საკდესი). დღეს საღამოს საზეიმო ვითარებაში დაიწყო მეორე ხუთწლედის (მეოთხე წლის გამოშვება) სესხის მერვე ტირაჟი.

ტირაჟის პირველ დღეს გათამაშებულ იქნა 260 ათასი მოგება. სულ მერვე ტირაჟში გათამაშებული იქნება 1.060 ათასი მოგება, 173.920 ათასი მანეთის რაოდენობისა.

უკანასკნელი ცნობები

ესპანეთის მთავრობის ოფიციალური ცნობა

პარიზი, 17 აგვისტო (საკდესი). ესპანის სააგენტოს ცნობით, ესპანეთის მთავრობამ ბარსელონაში პრესის წარმომადგენლებს შემდეგი ოფიციალური ცნობა გადასცა: „შრომის მინისტრის ხაიმე აიგუადეს და უპორტფელო მინისტრის მანუელ ირუხოს გადადგომის გამო დანიშნული არიან: შრომის მინისტრად — ხოზე მოიხ რეგასი და უპორტფელო მინისტრად — ტომასს ბილბაო. იუწყება რა ამის შესახებ, რესპუბლიკის მთავრობა საჭიროდ სთვლის ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნოს თავისი მუდმივი პატივისცემა ესპანეთის ავტონომიური რაიონების უფლებებისადმი. ამავე დროს მთავრობა მოხარულია, როცა ხედავს, რომ კატალონიისა და ბასკონიის წარმომადგენლები განაგრძობენ მთავრობის შემადგენლობაში დარჩენას, რომელიც ამრიგად ინარჩუნებს თავის ნაციონალური მთლიანობის მთავრობის ხასიათს. მთავრობა კვლავ აღნიშნავს თავის ნებისყოფას—შეინარჩუნოს ესპანეთის და მოუკიდებელი არსებობა ავტონომიური ოლქების უფლებებთან ამ დამოუკიდებლობის შეთავსებით“.

რესპუბლიკური ესპანეთი მხარს უჭერს ნეგრინის მთავრობას

ბარსელონა, 17 აგვისტო (საკდესი). ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიმართა ნეგრინს წერილით, რომელიც ხელმოწერილია პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. დიასის მიერ. ამ წერილში კომუნისტური პარტია ადასტურებს, რომ ყოველი პირობის გარეშე მხარს უჭერს ნეგრინის მთავრობას და სრულიად ეთანხმება ყველა ღონისძიებას, რომლებიც მიღებულია მთავრობის მიერ და მოწონებულია კომუნისტური პარტიის წარმომადგენლების მიერ მთავრობაში. ყოველგვარი პირობის გარეშე მხარდაჭერა აღუთქვეს ნეგრინს აგრეთვე სოციალისტური პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა, მუშათა საყოველთაო კავშირმა, ბასკონიის სოციალისტურმა პარტიამ, კატალონიის გაერთიანებულმა სოციალისტურმა პარტიამ, კატალონიის მუშათა საყოველთაო კავშირმა, ესპანეთის გაერთიანებული სოციალისტური ახალგაზრდობის კომიტეტმა და რესპუბლიკური ესპანეთის სხვა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა.

იაპონელთა ჯარის აჯანყება ნანკინში

ხანკოუ, 17 აგვისტო (საკდესი). სენტრალ ნიუსის სააგენტო იუწყება, რომ ნანკინში დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა იაპონელთა ჯარის აჯანყებასთან დაკავშირებით. ამას წინათ ნანკინში იაპონელებმა გადაიყვანეს მათ მიერ კორეელთაგან ახლად შექმნილი სამხედრო ნაწილები. კორეელებმა არ მოისურვეს ომი ჩინელი ხალხის წინააღმდეგ და აჯანყდნენ. იაპონელებმა აჯანყება ჩააქრეს და განაიარაღეს კორეელთაგან შემდგარი ნაწილი. ნანკინის ქალაქის კარი დახურულია, [illegible] გამვლელ-გამომვლელთ სჩხრეკენ. ქალაქის მახლობლად პარტიზანთა რამდენიმე რაზმი მოქმედებს.

ახალგაზრდობის მსოფლიო კონგრესი

ნიუ-იორკი, 17 აგვისტო (საკდესი). დღეს შესდგა ახალგაზრდობის მსოფლიო კონგრესის პირველი სხდომა, რომელზედაც მისალმებით გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ცოლი ელეონორა რუზველტი. მან განაცხადა, ამერიკის შეერთებული შტატების შეკავშირებული ახალგაზრდობა საყოველთაო მშვიდობიანობას იცავსო. შემდეგ გამოვიდა კოლეჯის პრეზიდენტი ვასარ-მაკ კრაკენი, რომელმაც აღნიშნა — მილიონობით ახალგაზრდობას სურს მშვიდობიანობა და მშვიდობიანობის იდეა რევოლუციური იდეა არისო.

ბოლშევიკური სალამი ჩვენი სამშობლოს ამაყ შევარდნებს!

მეთაურ ა. ა. ისტრებოვის სასპორტო თვითმფრინავთა რაზმი.

„სოიუზფოტო“

ამხ. პ. დ. ოსიპენკო — ლენინის ორდენოსანი მფრინავი ქალი, რომელმაც ვ. ფ. ლომაკოსა და მ. მ. რასკოვასთან ერთად მოახდინა ძირდაუშვებელი გადაფრენა სევასტოპოლიდან არხანგელსკამდე.

„სოიუზფოტო“

★

სიმამაცისა და მაღალი საავიაციო ტექნიკის დღესასწაული

ივ. ხეთაგური

საქ. თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე

ჩვენი ქვეყნის ბედნიერი ახალგაზრდები სიხარულითა და აღფრთოვანებით მიდიან აეროკლუბებში, სწავლობენ საფრენოსნო საქმეს იმისათვის, რომ დაეუფლონ ფრენის ტექნიკას, იყვნენ მზად მრისხანე ლახვარი ჩასცენ ყველას, ვინც კი შეეცდება ჩვენი დიადი ქვეყნის წმინდათა-წმინდა საზღვრების ხელყოფას.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა ახალგაზრდობის გაზრდილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. კადრებზე სტალინური მზრუნველობის შედეგად გამოიზარდნენ ახალგაზრდა ნიჭიერი და უნარიანი საავიაციო კადრები.

ავიაციის დღისათვის საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციამ საავიაციო კადრების მომზადების გეგმა 75 პროცენტით შეასრულა. ერთი თვის შემდეგ, ვადაზე ადრე, კადრების მომზადების 1938 წლის გეგმა 108 პროცენტით იქნება შესრულებული.

დიდია მიღწევები წარმოებიდან მოუწყვეტლივ საფრენოსნო საქმის სწავლების დარგშიც. საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციამ ვადაზე ადრე, 18 აგვისტოსათვის გამოუშვა წარმოებისაგან მოუწყვეტლად მომზადებული მფრინავები. წარჩინებულ კურსანტთა შორის, რომლებიც საფრენოსნო მომზადების საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან, ალსანიშნავია ამხ. ნ. მეტრეველი, ო. გაბუნია, ა. ზაფრენჩუკი, ქალებიდან მინაძე, თ. ხარაბაძე, ბაქრაძე და სხვ.

მფრინავთა ახალგაზრდა კადრების დაწინაურებას დიდი ყურადღება ექცევა. საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ბერიას სახელობის აეროკლუბმა მფრინავ-ინსტრუქტორებად დააწინაურა ახლად კურსდამთავრებული ახალგაზრდა მფრინავები. უნდა ითქვას, რომ ეს ახლად დაწინაურებული კადრები იმედებს ამართლებენ და მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან. ახლად დაწინაურებული ამხ. მ. ახალაძე, ი. შეყლაშვილი და სხვ. დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც დაწინაურებულ იქნენ პასუხსაგებ თანამდებობებზე ამხანაგები: ნ. ლეთოდიანი, შ. ჩინჩალაძე, მ. გოგრიჭიანი და ნ. კოვალენკო, მათ მცირე ხნის განმავლობაში საქმის დიდი ცოდნა და სიყვარული გამოიჩინეს. მოწინავე მფრინავები არიან აგრეთვე ამხ. გრ. გოგოშიძე, ბ. პახლევანიანი, გ. სვეტლანოვა. მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან აგრეთვე ქუთაისის აეროკლუბის უფროსი ამხ. რ. ქორიძე და ხაშურის აეროკლუბის უფროსი გოგლიძე.

მშრომელი მოსახლეობის მძლავრი მისწრაფება საავიაციო ტექნიკის დაუფლებისაკენ თავდებია იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის მშრომელნი, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცედ შემჭიდროვებულნი, მზად არიან მკერდით დაიცვან ჩვენი დიადი სამშობლოს წმინდათა-წმინდა საზღვრები.

საბჭოთა საქართველოს საჰაერო მაგისტრალებზე

შ. ჭანკოტაძე

საქ. სამოქალაქო-საჰაერო ფლოტის სამმართველოს უფროსი, ორდენოსანი

დღეს სამოქალაქო ავიაცია ჩვენს სამეურნეო-ეკონომიურ და კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ფრიად მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ახლა თითქმის ველარ შეხვდებით საქართველოში ისეთ რაიონს, სადაც ჩვენი თვითმფრინავები არ დაფრენდნენ. ცალკეულ უგზოო რაიონებს სწორედ თვითმფრინავები აკავშირებენ.

საქართველოს ავიაციის საჰაერო ხაზთა სიგრძე, რომლებითაც რეგულარული ფრენა სწარმოებს 2.245 კილომეტრს უდრის; ამასთან ეწყობა გაფრენები თბილისიდან მოსკოვს კავკასიის ქედით და 1900 კილომეტრი მანძილი ერთ დღეში იფარება.

საჰაერო ხაზებით: თბილისი — ბაქო, თბილისი — მინერალური წყლები (კავკასიის ქედით), თბილისი—მოსკოვი, (კავკასიის ქედით, ეპიზოდურად), თბილისი—სოხუმი, სოხუმი—სოჭი და სხვ. საკმაოდ პოპულარული არიან საქართველოსა და მოძმე ერთა მშრომელებისათვის.

საქართველოს სამოქალაქო ავიაცია 4145 კილომეტრზე ავრცელებს თავისი მომსახურების არეს.

ყოველდღიურად ნახავთ საჰაერო სადგურებში თითქმის ყველა ზემოთდასახელებული მიმართულებით მიმავალ ასეულ მგზავრს. განსაკუთრებით დიდია მგზავრთა ნაკადი სოხუმისა და სხვა მიმართულებით. საჰაერო ტაქსებივით მუშაობენ თვითმფრინავები სოხუმ-სოჭის ხაზზე.

სამოქალაქო ავიაციის, მისი მჭიდრო ქსელის განვითარებასთან ერთად, ჩვენში იზრდებიან პილოტთა საუკეთესო კადრები, კულტურულნი და ტექნიკურად განსწავლულნი.

ორდენოსანი დ. ა. პაპუაშვილი, რომელიც მეთაურობს თბილისის სატრანსპორტო რაზმს, თავისი უნაკლო მუშაობით დღითიდღე იზიდავს ხალხს და თვითმფრინავს მშრომელთა ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომად და აუცილებელ სატრანსპორტო საშუალებად აქცევს.

საქართველოში აღიზარდნენ მფრინავთა, ტექნიკისა და ავიაციის სხვა სპეციალობათა ახალგაზრდა კადრები, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი ბოლომდე ერთგულნი.

ფართოდ არიან ცნობილნი: კომკავშირელი პილოტი ფ. ზ. სალამანოვი — ყოველთვის მხნე და მხიარული, ვ. ფ. კოლეუხა—განსაკუთრებით დინჯი, თავდაჭერილი, საუკეთესო პილოტი, ვ. პ. ვოგინი — ახალგაზრდა, მაღალი ტექნიკის მფრინავი, რომელსაც საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ტრასებზე მდებარე მაღალ მწვერვალებზე ასეული ათასი კილომეტრი უფრენია, გ. ნ. ვაშაკიძე — მოზარდი ახალგაზრდა პილოტი, ბორტ-მექანიკოსი ა. პ. კაპანაძე, ორდენოსანი ვ. ა. მაცნევი, რომელიც ყოველთვის საუკეთესოდ ამზადებს თვითმფრინავს, ბორტ-მექანიკოსები ა. ი. გოლოსოვი, გ. დ. მიქაელიანი, ტექნიკოსები ს. ვ. კოსტიუკი, ა. პ. კნოლი და ბევრი სხვა, რომლებიც სტახანოვური მუშაობის ნიმუშებს გვიჩვენებენ.

საკმარისია ცოტა ხანს დაჰყოთ ქუთაისის სადგურში, რომ მყისვე თვალში გეცეთ ინჟ. ნ. კ. კელერისა და ტექნიკოსების ს. კ. კსოსირსკის, ფ. პ. კოსტიკოვისა და სხვ. ზუსტი და წესიერი მუშაობა. პილოტი ვ. ვ. კაჟენცევი, რომელიც დაუფლებულია ფრენოსნობის მაღალ ტექნიკას და დაჰფრენს სამთო ტრასაზე. პილოტი ა. მ. ბისტრიცკი, ნ. ა. სკაკუნოვი, ი. ვ. დიდენკო თავისი სტახანოვური მუშაობით დღითიდღე აღწევენ მაღალ მაჩვენებლებს.

სოხუმ-სოჭის ტრასაზე მომუშავე ავიატაქსებს სტახანოველი პილოტი ვ. ი. ოვსეფიანი ემსახურება.

ეს და ბევრი კიდევ სხვა ამხანაგები — საბჭოთა სამშობლოს დიდი პატრიოტები, აღზრდილნი ლენინ-სტალინის პარტიის მიერ, სპეტაკი პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, დაუღალავად მუშაობენ თავისი ტექნიკური და პოლიტიკური ცოდნის ასამაღლებლად, მზად არიან პარტიის პირველ დაძახილზე დადგნენ მებრძოლთა პირველ რიგებში და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლონ საყვარელი სამშობლოს დასაცავად.

ახდენს რა თავის მიღწევათა დემონსტრაციას, ჩვენი სამოქალაქო ავიაცია, მისი მებრძოლი სტახანოვური კოლექტივი სიტყვას აძლევს პარტიას, მთავრობას, ავიაციის დიდ მეგობარს ამხანაგ სტალინს, საქართველოს ბოლშევიკთა ნაცად ხელმძღვანელს ამხანაგ ლავრენტი ბერიას, მომავალში კიდევ უფრო მეტი თავდადებით იბრძოლოს საჰაერო ტრანსპორტის შემდგომი განვითარებისათვის.

კონსტანტინე სამოილოტოვი სოხუმის ხაზის სტახანოველი მფრინავი.

ფოტო რ. აკოფოვისა

★

ლ. პ. ბერიას სახელობის ცენტრალური აეროკლუბი.

სურათზე: კურსანტები, რომლებმაც „ფრიადზე“ დაამთავრეს საფრენოსნო სკოლა (მარცხნიდან მარჯვნით): აგაბეკოვი, ტულიევი, ლავრენჩუკი, ქურდაძე და კოპლაშვილი.

ფოტო კვირიკაშვილისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

★

ავიაცია სოფლის მეურნეობაში

სოფლის მეურნეობაში ავიაციის გამოყენების ფართო შესაძლებლობა აქვთ მხოლოდდამხოლოდ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ბედნიერ ადამიანებს, რომლებიც ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით აშენებენ და ჰქმნიან შეძლებულ, მხიარულ და ლაღ ცხოვრებას. თვითმფრინავების საშუალებით საბჭოთა კავშირში ებრძვიან მალარიის გამავრცელებელ კოღოანოფელესს, აქრობენ ტყის ხანძარს, სთესენ მარცვლეულს, სწამლავენ ნათესებს, გადაჰყავთ მგზავრები, ეზიდებიან ბარგს და სხვ. ამჟამად ოცდაათზე მეტი სახის მწერისა და სოფლის მეურნეობის სხვა მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლის აგროტექნიკა აქვს ათვისებული ჩვენს წითელ ავიაციას. მარტო 1934 წელს საბჭოთა კავშირში თვითმფრინავებით 399.500 ჰექტარი ავიაქიმიური მეთოდის გამოყენების შედეგად მავნებლებმა საგრძნობლად იკლო კაზახსტანში, თურქმენისტანში, ყარაკალფაკიაში, ამიერ-კავკასიაში და სხვ. ავიაციის საშუალებით დიდი მუშაობა ჩატარდა მალარიის გამავრცელებელ კოღოებსა და ციტრუსთა მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის მხრივ საქართველოშიც.

სოფლის მეურნეობაში ავიაციის გამოყენება ძალიან იაფი ჯდება. იგი ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების დაჩქარებას, ზრდის მოსავლიანობას. თვითმფრინავს ერთი საათის განმავლობაში შეუძლია მოსპოს მინდვრის მავნებლები 225 ჰექტარზე, მალარიის კოღო—400 ჰექტარზე, დათესოს ხორბლეული და საკვები ბალახები 20 — 35 ჰექტარზე. თვითმფრინავით ხორბალი შეიძლება დაითესოს 50-ჯერ უფრო სწრაფად ვიდრე ხელით და 3,3-ჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე ტრაქტორით. 1000 ჰექტარი ბრინჯი თვითმფრინავით შეიძლება 60 სამუშაო საათში დაითესოს, ხელით კი მას 5.000 და ტრაქტორით 1.000 მანქანა-საათი სჭირდება. მსოფლიოში პირველი ცდა თესვაზე თვითმფრინავის გამოყენებისა საბჭოთა ქვეყნის გმირულმა ავიაციამ 1931 წელს ბრწყინვალედ გადასჭრა. ამ წელს საბჭოთა თვითმფრინავებით მსოფლიოში პირველად დაითესა 4.200 ჰექტარზე მეტი ხორბლეული, 1932 წელს—60.000 ჰექტარი, ხოლო 1933 წელს—138.000 ჰექტარი. ამ მხრივ დაწყებული მუშაობა შემდგომ წლებში კიდევ უფრო გაიზარდა.

სახალხო მეურნეობის განვითარების სტალინური გეგმის ბრწყინვალე გამარჯვებამ, ადამიანებისადმი სტალინურმა ზრუნვამ საბჭოთა ავიაციას, ისევე როგორც მეურნეობის სხვა დარგებს შეუქმნა სახელოვანი კადრები, რომლებიც მშვიდობიანობის დროს თავიანთი ფოლადის შევარდნებით გმირულად იბრძვიან ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის კიდევ უფრო აყვავებისა და გაფურჩქვნისათვის.

ტ. აცანელი.

თვითმფრინავ „ნ-209“ გმირული ეკიპაჟი, რომელიც უგზოუკვლოდ დაიკარგა 1937 წლის 15 აგვისტოს მოსკოვი-ჩრდილოეთის პოლუსი—ჩრდილო-ამერიკის მარშრუტით მოწყობილ გაფრენის დროს.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნით)—რადისტი ნ. ი. გალკოვსკი, მეორე პილოტი ნ. გ. კასტანაევი, ეკიპაჟის მეთაური ს. ა. ლევანევსკი, მეორე ბორტმექანიკოსი გ. პობეჟიმოვი, პირველი ბორტმექანიკოსი ნ. ნ. გოდოვიკოვი და შტურმანი ვ. ი. ლევჩენკო.

მ. ვ. ვოდოპიანოვი

საბჭოთა კავშირის გმირი

სსრ კავშირი მძლავრი საავიაციო სახელმწიფოა

ჩვენი ავიაცია ახალგაზრდაა. იგი იქმნებოდა მეფის რუსეთისაგან მიღებული საავიაციო მემკვიდრეობის ნამსხვრევებზე.

სამოქალაქო ომის წლებში საბჭოთა მფრინავები იგერიებდნენ თეთრების საჰაერო თავდასხმებს და შორს მიფრინავდნენ მოწინააღმდეგის ზურგში ვეებერთელა ოთხმოტორიან თვითმფრინავ „ილია მურომეცებით“. ეს მანქანები ძველი იყო, [illegible] ადგილას დაკერებული.

მძიმე დღეებს განიცდიდა მაშინ ჩვენი ქვეყანა. გაჭირვებით შუშდებოდა ინტერვენტებისა და თეთრბანდიტების მიერ მოყენებული ჭრილობები. თვითმფრინავთა მშენებლობისათვის არ გვეცალა. ისეთი ძველი, არასაიმედო საჰაერო ხომალდებიც გვიხაროდა, როგორიც „ილია მურომეცი“ იყო.

მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ ევროპამ თვითმფრინავები მგზავრთა გადასაყვანად და ფოსტის საზიდავად გამოიყენა.

ჩვენ არ გვქონდა ჩვენი საავიაციო მრეწველობა, არ გვქონდა ჩვენი თვითმფრინავები და მოტორები, ჩვენი მფრინავებიც კი არ გვყავდა საკმაო რაოდენობით.

და მაინც 1921 წელს გაიხსნა საჰაერო საფოსტო ხაზი: მოსკოვი — ხარკოვი. მართალია, ეს ხაზი ცუდად მუშაობდა. გაფრენისა და მოფრენის საათების განრიგება არ არსებობდა. თუმცა, სულერთია ეს განრიგება მაინც უსარგებლო იქნებოდა. რა განრიგებაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როდესაც ნისლი ან ჰაერში სულ მცირეოდენი ნჯღრევა იძულებულ დაშვებას იწვევდა. „ილია მურომეცის“ სიჩქარე საათში 100—110 კილომეტრს არ აღემატებოდა. ჩვენი მფრინავთა შემადგენლობაც საკმაოდ გამოცდილი არ იყო. რათა წარმოდგენა ვიქონიოთ ჩვენს საავიაციო შესაძლებლობებზე, საკმარისია ვთქვათ, რომ გადაფრენა სარაპული — მოსკოვი, რომელიც დიდხანს და გულმოდგინედ მზადდებოდა, მაინც ვერ შესდგა.

ცხადია, ასეთი მდგომარეობა არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო. ჩვენთვის თვითმფრინავი აუცილებელი იყო იმისათვის, რომ სწრაფად გადაგველახა ჩვენი ქვეყნის ვეებერთელა სივრცეები. საჰაერო მიმოსვლის მოწყობა სახალხო მეურნეობის განვითარებისა და სოციალისტური რეკონსტრუქციის გეგმის განუყრელი ნაწილი იყო.

1923 წელი ჩვენი სამოქალაქო ავიაციის დაბადების წელია. ახლად შექმნილმა საჰაერო მიმოსვლის საზოგადოებამ გახსნა საჰაერო ხაზი მოსკოვი-ნიჟნი (გორკი). ამ ხაზის ექსპლოატაციისათვის გერმანიის ფირმა „იუნკერსისაგან“ შეძენილ იქნა თვითმფრინავები. მაგრამ როდესაც მძიმე სამგზავრო „იუნკერსები“ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოვიდნენ, გამოირკვა, რომ მათზე ფრენა არავის შეეძლო.

ახლად წარმოშობილი სამოქალაქო ფლოტის პილოტები შესდგებოდნენ სამხედრო მფრინავებისაგან, რომლებსაც წარმოდგენა არ ჰქონდათ მძიმე სამგზავრო მანქანებზე. ზოგიერთმა მათგანმა, ყველაზე ნიჭიერმა, სწრაფად აითვისა „იუნკერსი“. დანარჩენი მანქანების სამართავად, აგრეთვე ჩვენი მფრინავების ინსტრუქტაჟისათვის საჭირო გახდა უცხოელი მფრინავების მოწვევა.

მაგრამ ჩვენ დიდხანს როდი ვიყავით დამოკიდებულნი უცხოელებზე. პირველი საჰაერო ხაზის გახსნასთან ერთად „დობროლიოტმა“ მოაწყო მფრინავთა თავისი კადრების მომზადება. ტექნიკის ზრდასთან ერთად ახალი ადამიანიც იზრდებოდა. საბჭოთა ქვეყანამ აღზარდა თავისი შესანიშნავი ოსტატი მფრინავები. 1924 წელს ექსპლოატაციაში მყოფ საჰაერო ხაზებზე, საექსპედიციო და სააგიტაციო ფრენაზე თვითმფრინავები მხოლოდდამხოლოდ საბჭოთა მფრინავებს დაჰყავდათ.

სწრაფად მტკიცდებოდა და მდიდრდებოდა ჩვენი სამშობლო. გაჩნდნენ გიგანტი ქარხნები. ჩვენი საჰაერო ტრანსპორტი ისეთი ტემპებით ვითარდებოდა, რომლების მიღწევა მსოფლიოში არცერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოს არ შეეძლო.

უკვე 1925 წელს, ამჟამად მთელი მსოფლიოსათვის ცნობილმა მფრინავმა მიხეილ მიხეილის-ძე გრომოვმა მოახდინა შესანიშნავი გადაფრენა მოსკოვი—პეკინი — ტოკიო. ეს იყო საბჭოთა მფრინავების პირველი დიდი გამარჯვება.

ამავე წელს ჩაისახა სასოფლო-სამეურნეო ავიაცია. მიწსახკომის განკარგულებაში გამოიყო ორი თვითმფრინავი, ეგრეთწოდებული „კონიოკ-გორბუნოკები“. „კონიოკ-გორბუნოკზე“ ტარდებოდა კალიასთან ბრძოლის ცდები. თვითმფრინავები საბჭოთა ქალაქებისა და სოფლების ყოფა-ცხოვრებაში შევიდა. თვითმფრინავის საშუალებით სწარმოებდა რეგულარული ბრძოლა არა მარტო კალიასთან, არამედ მალარიის კოღოსთან, ტყის მავნებლებთან. თვითმფრინავები ტყის ხანძრებს აქრობდნენ. ამავე დროს ჩვენი ქვეყანა რეგულარულად მომქმედი საჰაერო მაგისტრალების ქსელით იფარებოდა.

მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩვენს საჰაერო ხაზებზე გაჩნდნენ საბჭოთა თვითმფრინავები, საბჭოთა მოტორებით აღჭურვილნი, მძაფრად გაიზარდა საჰაერო ტრასების რაოდენობა. თვითმფრინავები მიდიან სვანეთის შორეულ სოფლებშიც, პამირის მაღალი მთების სოფლებშიც, გვალვიან ტაჯიკისტანშიც და არქტიკის ყინულოვან უდაბნოებშიც.

საჰაერო ხაზებმა დააკავშირეს მოსკოვი ვლადივოსტოკთან, ბაქოსთან და ტაშკენტთან. შუა-აზიის რესპუბლიკები საჰაერო ხაზების ქსელით დაიფარნენ. მალე ჩვენს ქვეყანაში აღარ დარჩენილა ისეთი კუთხე, სადაც თვითმფრინავი არ მისულიყო.

ახალი ადამიანი, მძლავრი ტექნიკით შეიარაღებული, სამოქალაქო ომის ეპოქაში გამობრძმედილი, იჯდა საბჭოთა ფრთოსანი მანქანის საჭესთან. და მალე ის, რაც გუშინ შეუძლებელი გვეჩვენებოდა, დღეს უკვე ჩვეულებრივი გახდა.

ჯერ კიდევ 1929 წელს მიხეილ გრომოვმა შემოიფრინა ევროპა მრავალმოტორიანი სამგზავრო თვითმფრინავით. საბჭოთა ავიაციაზე საზღვარგარეთ ალაპარაკდნენ. ბურჟუაზიულმა ქვეყნებმა აშკარად აღიარეს საბჭოთა მფრინავებისა და საბჭოთა მანქანების მაღალი ღირსება.

1934 წელს მთელი მსოფლიო აღტაცებული იყო ჩვენი ავიაციის სიმძლავრით. ჩვენმა თვითმფრინავებმა ყინულოვანი ბანაკიდან იხსნეს 104 კაცი. ყველა სულგანაბული ადევნებდა თვალყურს ამ ექსპედიციას, რომელიც ისტორიაში უმაგალითო იყო.

მალევე ჩელუსკინელთა გადარჩენის შემდეგ გრომოვმა, სპირინმა და ფილინმა 75 საათში შეკრული წრით 12 ათას კილომეტრზე მეტი იფრინეს. მსოფლიომ კვლავ დაინახა, თუ რისი უნარი შესწევს საბჭოთა ავიაციას და საბჭოთა ადამიანებს. ეს იყო საბჭოთა ავიაციის პირველი მსოფლიო რეკორდები, რომლებიც არსად არ იყო რეგისტრირებული, მაგრამ ყველას მიერ აღიარებული იყო.

ამ წლებში თვითმფრინავმა დაიწყო არქტიკის მკვიდრად დაპყრობა. დიდი სტალინის ინიციატივით საჰაერო ხაზების უხილავი ძაფები გაიჭიმა საბჭოთა კავშირის უკიდურესი ჩრდილოეთისაკენ. მალე განხორციელდა ის, რომ არქტიკა აღარ წარმოადგენს დაუსახლებელ ქვეყანას, სადაც ადამიანს ცხოვრება და მუშაობა არ შეუძლია. წინათ უდაბურ კუნძულებზე გაჩნდნენ ქალაქები და მყუდრო გასაზამთრებელი ადგილები. პოლარული რაიონის გამჭვირვალე და სუფთა ჰაერში მაღალი რადიოანძები აღიმართა.

ათობით გემები ეზიდებიან ტვირთებს. არქტიკა გვაძლევს ჩვენ თავის სიმდიდრეს, რომელიც დღემდე ადამიანისათვის მიუწვდომლად ითვლებოდა.

ფართოდ გაჩაღდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა უკიდურეს ჩრდილოეთში. ჩვენი ცნობები არქტიკაზე, საბჭოთა პოლარელების მეცადინეობის მეოხებით, იმდენად გამდიდრდა, რომ პოლარული რაიონი ამოცანას აღარ წარმოადგენს. ისეთი ძნელი და ბრწყინვალე რეისები, როგორიც არის რგოლური მარშრუტი არქტიკაზე—მოსკოვი — ფრანც-იოსების მიწა — ლოს-ანჟელოსი — მოსკოვი, უკვე არავის აღარ აკვირვებდა.

ახლა პოლარული ავიაციის წინაშე დაისვა სერიოზული ამოცანა — ტრანსარქტიკული ხაზების გახსნა და ათვისება. არ კმარა არქტიკის დაკავშირება ქვეყნის ცენტრთან, არ კმარა არქტიკაში ფრენის ათვისება. საჭიროა ვისწავლოთ არქტიკაზე გადავლით ფრენა.

ამ პრობლემის გადაწყვეტას შეუდგნენ არა მარტო პოლარელები, არამედ ჩვენი ქვეყნის ყველა განსაკუთრებით გამოჩენილი მფრინავები და ავიაციის სპეციალისტებიც.

როგორიც ხალხია, ისეთივე არიან მისი მფრინავები!

საბჭოთა ადამიანებს ახასიათებს გამბედაობა, მათ აქვთ შემოქმედების უნარი. მშობლიური სტალინის სიყვარულითა და მზრუნველობით აღფრთოვანებულმა მფრინავთა უშიშარმა სამეულმა — ჩკალოვმა, ბაიდუკოვმა და ბელიაკოვმა გაატარეს თავისი საუცხოო საბჭოთა თვითმფრინავი ხალხთა ბელადის მიერ ნაჩვენები მარშრუტით. ეს უძნელესი გადაფრენა იყო ყველა იმ გადაფრენათაგან, რომლებსაც კი იმ დრომდე ავიაციის ისტორია იცნობდა. მფრინავებმა ძირდაუშვებლად გადაიფრინეს დაახლოვებით ცხრანახევარი ათასი კილომეტრი. ეს გაბედული ნახტომი მოსკოვიდან კუნძულ უდზე (ამჟამად ჩკალოვი) თავისებური რეპეტიცია იყო მოსკოვ-ჩრდილოეთის პოლუს-ჩრდილოეთის ამერიკის გადაფრენისა.

შეამოწმა რა საბჭოთა მანქანისა და საბჭოთა მოტორების შესაძლებლობანი გზაზე: მოსკოვი —ფრანც-იოსების მიწა — ახალ-ციმბირის კუნძულები — იაკუტია — ოხოტსკის ზღვა — კამჩატკის პეტროპავლოვსკი და უკან ოხოტსკის ზღვით კუნძულ უდზე (ჩკალოვზე), გმირულმა ეკიპაჟმა ერთი წლის შემდეგ დასაწყისი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში, მოახდინა რა პირველი ძირდაუშვებელი ტრანსარქტიკული რეისი საბჭოთა კავშირის დედაქალაქიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ამ მოვლენამდე დაახლოვებით ერთი თვით წინ ჩვენი საჰაერო ხომალდების რაზმი დაეშვა მოდრეიფე ყინულზე პოლარული ბასეინის ცენტრში, — ჩრდილოეთის პოლუსი ბოლშევიკებს დაემორჩილა. განხორციელდა კაცობრიობის ოცნება: პოლუსის საიდუმლოება გამოცნობილ იქნა.

როდესაც ჩკალოვი, ბაიდუკოვი და ბელიაკოვი საჰაერო ტრასით აერთებდნენ ორ დიდ ხალხს — სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხებს, სადღაც „ჩრდილოეთის პოლუსის“ ლეგენდარული მეზამთრენი რეგულარულად ჰგზავნიდნენ ეთერში ამინდის პროგნოზს.

პაპანინელთა ვახტის მეოხებით მეტეოროლოგიური ვითარება პოლუსის რაიონში ასევე კარგად იყო ცნობილი გრომოვისა, იუმაშევისა და დანილინისათვის მათი ძირდაუშვებელი გადაფრენის დროს მოსკოვიდან მექსიკის საზღვრამდე. ამ უკანასკნელი გადაფრენით ჩვენმა მფრინავებმა დაამყარეს სიშორის მსოფლიო რეკორდი. საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის (ფაი) კონფერენციაზე მათ გადაეცა ფაის განსვენებული პრეზიდენტის დე ლა ვოს სახელობის მედალები 1937 წლის საუკეთესო საავიაციო მიღწევებისათვის.

ჰაერის სივრცეთა დაპყრობის ისტორიაში საბჭოთა ავიაციამ მრავალი ბრწყინვალე გამარჯვება ჩაწერა.

გავლენ წლები, ავიაციის პროგრესი შორს მოიტოვებს დღევანდელ მიღწევებს, მაგრამ მაინც მომავალი თაობები ყოველთვის აღტაცებით გაიხსენებენ საბჭოთა მფრინავების შესანიშნავ რეისებს ჩელუსკინელთა ბანაკში, არქტიკის გულში დაშვებულ საჰაერო ესკადრას, პირველ გადაფრენებს სსრ კავშირიდან ჩრდილოეთის პოლუსით ამერიკის შეერთებულ შტატებში.

უცხოეთის „იუნკერსებიდან“ უცხოელივე მფრინავებით — პირველხარისხოვან საბჭოთა თვითმფრინავებამდე გმირული საბჭოთა ეკიპაჟით ვეებერთელა მანძილია. და ეს მანძილი ჩვენმა ქვეყანამ დაჰფარა უმაგალითო მოკლე ისტორიულ ვადაში, შექმნა თავისი მძლავრი საავიაციო მრეწველობა, თვითმფრინავთა და მოტორთა საკუთარი კონსტრუქციები, აღზარდა სტალინური მოდგმა მფრინავებისა, რომელნიც სრულყოფილად დაუფლებულნი არიან ფრთოსან მანქანებს. ყველა საერთაშორისო რეკორდების დაახლოვებით ნახევარი უკვე ჩვენ გვეკუთვნის — ყველაზე ახალგაზრდა საავიაციო სახელმწიფოს.

მარტო 1936—37 წლის განმავლობაში საბჭოთა მფრინავებმა თვის ცხრილში 18 ახალი საერთაშორისო რეკორდი ჩასწერეს.

ჰაერის საიერიშოდ ქალებიც გაეშურნენ. საბჭოთა მფრინავმა ქალმა პოლინა ოსიპენკომ დაამყარა ქალთა 3 რეკორდი, ვიშნევსკაიამ და მედნიკოვამ — რეკორდები ჩქარ თვითმფრინავზე.

ყველა ეს მიღწევაც თავისებური მსოფლიო რეკორდებია, ვინაიდან მსოფლიოში ვერცერთმა ქვეყანამ ვერ შესძლო იმის გაკეთება, რაც გააკეთა საბჭოთა კავშირმა ასე მოკლე ხანში.

1938 წელს ჩვენ კვლავ დავანახვეთ მსოფლიოს, თუ რისი უნარი შესწევთ საბჭოთა მფრინავებს, ბოლშევიკური პარტიის მიერ მზრუნველობით აღზრდილთ, საკუთარი ბედიღბლის შემოქმედთ.

თავისი სამშობლოს შესწავლის, ათვისებისა და დაცვის დიადი იდეით აღფრთოვანებული მფრინავი კოკინაკი და შტურმანი ბრიანდინს-

(გაგრძელება იხ. მე-4 გვ.)

კომუნისტი

ხუთშაბათი, 18 აგვისტო, 1938 წ. № 189 (5290)

ესპანეთის ავიაცია გმირულად იბრძვის რესპუბლიკის დასაცავად

დაწვრილებითი ცნობები აღმოსავლეთის ფრონტზე მომხდარი ბრძოლის შესახებ

ესპანეთის თავდაცვის სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა ებროს ფრონტზე 14 აგვისტოს მომხდარი საჰაერო ბრძოლის შესახებ. ცნობაში ნათქვამია: განდესის სექტორში რესპუბლიკელთა სამი ესკადრილია შეება 30 „ფიატს“, შემდეგ ბრძოლაში ჩაება 12 „ჰაინკელი“. ბრძოლის დაწყებიდან 40 წუთის შემდეგ ორივე მხარეს მოუვიდათ მაშველი ძალები; ფაშისტთა თვითმფრინავებს 11 „ჰაინკელი“ მიემატა, „ფიატების“ ჯგუფი და 8 „მესერშმიდტი“. ბრძოლის დასასრულ, როდესაც რესპუბლიკელებმა ფაშისტთა თვითმფრინავები გააქციეს, ფაშისტთა თვითმფრინავების ახალი ჯგუფი გამოჩნდა, მაგრამ მან ვერ გაბედა ბრძოლაში ჩაბმა. რესპუბლიკელებმა ჩამოაგდეს 12 „ფიატი“, 4 „ჰაინკელი“ და 2 „მესერშმიდტი“. რესპუბლიკელთა ავიაციამ დაჰკარგა სულ 1 თვითმფრინავი; ამ თვითმფრინავის პილოტმა სერჟანტმა რუბენ გომესმა, რომელიც მძიმედ იყო დაჭრილი თავში, თვითმფრინავი რესპუბლიკელთა ტერიტორიისაკენ წაიყვანა, მაგრამ ვერ შესძლო დაშვებულიყო, რადგან ძალღონე აღარ ეყო. გმირი მფრინავი დაიღუპა.

ხოზე დიასის სტატია

ბარსელონა, 16 აგვისტო (საკდესი). „ფრენტე როხო“ აქვეყნებს კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის დიასის სტატიას, მიძღვნილს სოციალისტური პარტიის ნაციონალური კომიტეტის პლენუმისადმი. დიასი მიესალმება სოციალისტთა რეზოლუციას ფაშიზმთან ბრძოლაზე, მანამდე, სანამდე მოპოვებული არ იქნება გამარჯვება, და აღნიშნავს, რომ მრავალი სოციალისტი და სოციალისტური მოძრაობის ბელადი საზღვარგარეთ არა მარტო მერყეობს ესპანეთის საკითხში, არამედ ისეთი პოზიცია უკავია, რომელიც დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ესპანელი ხალხის პოზიციას.

„ამიტომ, — სწერს დიასი, — სოციალისტური პარტიის გენერალური მდივანი მართალი იყო, როცა განაცხადა, ესპანელი სოციალისტები ყველაზე უფრო ახლო სდგანან კომუნისტებთანაო.

მას შეეძლო დაემატებინა—გაცილებით უფრო ახლო, ვიდრე საზღვარგარეთელ მემარჯვენე კაპიტულანტებთან, რომლებიც სოციალისტებს უწოდებენ თავიანთ თავს“.

დიასი მიესალმება რეზოლუციას კომუნისტურ პარტიასთან ერთიანი მოქმედების შესახებ, აგრეთვე რეზოლუციას შინაპარტიული მთლიანობის შესახებ და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კომუნისტებს სურთ იმუშაონ უკლებლივ ყველა სოციალისტთან.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის მიერ პარიზიდან მიღებული ცნობების მიხედვით)

აღმოსავლეთის ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს 15 აგვისტოს ოფიციალური ცნობების თანახმად, რესპუბლიკელთა ჯარმა სავსებით მოიგერია მოწინააღმდეგის ორი გამძაფრებული იერიში რესპუბლიკელთა პოზიციებზე სეგრეს მარჯვენა ნაპირთან. მოწინააღმდეგემ დიდი ზარალი ნახა. ამ სექტორში რესპუბლიკელებმა მნიშვნელოვნად წასწიეს წინ თავისი პოზიციები. ებროს სექტორში ინტერვენტები ავიაციის დახმარებით იერიშებს განაგრძობდნენ ზანდოსის მთაზე მდებარე რესპუბლიკელთა პოზიციების წინააღმდეგ.

რესპუბლიკელთა ავიაცია გუშინ ყუმბარებს უშენდა და ტყვიამფრქვევებს ესროდა იმ პუნქტებს, სადაც თავს იყრიდა მოწინააღმდეგე. რესპუბლიკელთა 21 განმანადგურებელმა ბრძოლა გაუმართა ფაშისტურ თვითმფრინავთა ოთხ ესკადრილიას. ბრძოლის შედეგად ორივე მხარემ დაჰკარგა თითო თვითმფრინავი. იმავე დღეს რესპუბლიკელთა ავიაციამ ბრძოლა გაუმართა გერმანელთა განმანადგურებლებს და ჩამოაგდო „მესერშმიდტის“ ტიპის ორი თვითმფრინავი. რესპუბლიკელებმა დაჰკარგეს ერთი თვითმფრინავი, რომლის პილოტიც პარაშუტით გადარჩა.

ლევანტის ფრონტი

ვილიამალურას სექტორში რესპუბლიკელთა ჯარმა გარეკა მოწინააღმდეგე ელკოლოდასთან მდებარე პოზიციებიდან და ხელთ იგდო სამხედრო მნიშვნელოვანი რაოდენობის მასალები და ტყვეები.

ცენტრალური ფრონტი

გვადიანისა და მისი შენაკადის გვადალუპეხოს სანაპიროებზე გამძაფრებული ბრძოლები სწარმოებს. მოწინააღმდეგის იერიშები რესპუბლიკელთა პოზიციებზე სუხარის მარჯვენა ნაპირთან შეჩერებულია. ინტერვენტებმა თითქმის მოახერხეს გვირაბის დაკავება ლას კაბესაში, მაგრამ ჩქარა რესპუბლიკელებმა ბრწყინვალე კონტრიერიშებით გარეკეს მოწინააღმდეგე გვირაბიდან. სარსა კაპილიას სექტორში (ალმადენიდან ჩრდილოეთ დასავლეთისაკენ) მოწინააღმდეგემ საარტილერიო მომზადების შემდეგ რამოდენიმედ წინ წამოსწია თავისი პოზიციები. კაბესა დელ ბუეის სექტორში ინტერვენტების წინსვლა შეჩერებულია.

კომისია ტყვეთა გაცვლის ჩასატარებლად

ბარსელონა, 16 აგვისტო (საკდესი). საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება, რომ ინგლისის მთავრობამ ესპანეთის მთავრობის სურვილის შესაბამისად შექმნა კომისია ტყვეთა გაცვლის ჩასატარებლად; ეს კომისია, ისევე როგორც დაუცველი ქალაქების ბომბარდირების გამომკვლევი კომისია, ტულუზაში (საფრანგეთი) იქნება.

უცხოეთის ქრონიკა

- „დეილი ჰერალდის“ ცნობით, ინგლისში 18 ივლისისათვის 1.773.116 უმუშევარი იყო, 448 ათასით მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე დროს.
- ვენის (ავსტრია) სასტუმროების, რესტორანებისა და კაფეების მეპატრონეებს აუკრძალეს ბაზარზე მწვანილეულობის ყიდვა. მწვანილით ბითუმად ვაჭრობა მხოლოდ კომერციული გაერთიანებების საშუალებით შეიძლება. ასე იზრდება მომარაგების კრიზისი ფაშისტების მიერ დაპყრობილ ავსტრიაში.
- საფრანგეთის გემი „არტუა“ წააწყდა ნაღმს და ჩაიძირა გიბრალტარიდან 85 მილის დაშორებით. გემის კომანდის შემადგენლობა გადარჩა.
- ვალენსიაზე თავდასხმის დროს ფაშისტების 5 ყუმბარმტყორცნმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო ინგლისის გემ „ნომეი ჯულიაზე“, რომელიც ამ დროს ვალენსიის ნავსადგურში იმყოფებოდა. გემი ჩაიძირა.
- შანხაიში, საერთაშორისო სეტლმენტში ინტერნირებულმა ჩინელთა ათასეულმა ჩინელთა სარდლობის ჩარევით შესწყვიტა შიმშილობა.
- ბერლინის ბირჟაზე კვლავ ეცემა ფასიანი ქაღალდების კურსი. ამას ხსნიან სამხედრო მანევრებით, რომელიც შეშფოთებას იწვევს საქმიან წრეებში.
- ფაშისტურმა გერმანიამ გასული წლის განმავლობაში დაზღვევის ფონდებიდან 898 მილიონი მარკა „დაზოგა“ (ე. ი. სამხედრო საჭიროებას მოახმარა).
- 15 აგვისტოს ნიუ-იორკის შტატის უმაღლეს სასამართლოში დაიწყო რეაქციული ორგანიზაციის „ტამანი ჰოლის“ გამოჩენილი ლიდერის ჯემს ჰაინესის სასამართლო პროცესი.

პარტიზანები ჩრდილოეთ ჩინეთში

შანხაი, 16 აგვისტო (საკდესი). ჩრდილოეთ ჩინეთში პარტიზანები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას განაგრძობენ. 15 აგვისტოს პარტიზანებმა იერიში მიიტანეს ძიაო-ჯოუს წინააღმდეგ, ცინდაოს ჩრდილო-დასავლეთით. საარტილერიო სროლა მკაფიოდ ისმოდა ცინდაოში. ამ დღეებში პარტიზანები თავს დაესხნენ იაპონელთა გარნიზონს ვეიხაივეიში. გაიმართა ძლიერი ბრძოლა. ბრძოლის შედეგად იაპონელებმა 300-მდე კაცი დაჰკარგეს.

პარტიზანები დიდ აქტივობას იჩენენ ჩრდილო-აღმოსავლეთ ხებეიში. ამ რაიონში 20 ათასზე მეტი პარტიზანი მოქმედებს. პარტიზანების ხელშია შემდეგი ქალაქები: პინგუ, ძენხუა და სხვ.

ყველგან გომინდანური ბაირაღები ფრიალებენ. ამ დღეებში ბეიპინ-ხანკოუს რკინიგზაზე, ბაოდინის მახლობლად, პარტიზანები თავს დაესხნენ იაპონელთა რაზმს, მოჰკლეს 150 იაპონელი ჯარისკაცი, დაანგრიეს რკინიგზის ლიანდაგი და შესწყვიტეს მიმოსვლა ამ გზაზე.

იაპონელთა ავიაციის მხეცობა

ხანკოუ, 16 აგვისტო (საკდესი). 13 აგვისტოს იაპონელთა 15 ყუმბარმზიდმა ყუმბარები დაუშინა ქალაქ იანსის (ხუბეის პროვინციის აღმოსავლეთ ნაწილში), რამაც ნგრევა გამოიწვია. იაპონელთა ორი თავდასხმის დროს მოკლულია 500-ზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები და დაჭრილია 800. ყუმბარების მეტი წილი ქალაქის ცენტრში ჩამოჰყარეს. დანგრეულია საშუალო სკოლა, ამერიკელთა ეკლესია, გაზეთის რედაქციის ბინა და სხვა შენობები. ცეცხლგამჩენმა ყუმბარებმა ხანძარი გამოიწვიეს. მეორე თავდასხმის დროს იაპონელებმა ტყვიამფრქვევი დაუშინეს ქალაქიდან გაქცეულ თავზარდაცემულ ხალხს. მოკლულთა შორის ძალიან ბევრია ბავშვი.

სსრ კავშირი მძლავრი საავიაციო სახელმწიფოა

(დასასრული)

ჯი ერთ დღეღამეში გადაფრინდნენ მოსკოვიდან ვლადივოსტოკის რაიონში. ისინი მიფრინავდნენ სტალინის სახელით — საბჭოთა ავიაციის დროშით დიადი საბჭოთა ქვეყნის თავზე, მის ტყეებზე, მთებზე, უდაბნოებზე, ქარიშხალსა და ნისლში. მაგრამ აბობოქრებულ სტიქიასთან ბრძოლის მძიმე წუთებშიაც მფრინავი და შტურმანი დამშვიდებით აკეთებდნენ თავიანთ საქმეს. მათ ღრმა რწმენა ჰქონდათ სამშობლო ინდუსტრიისადმი, საუცხოო თვითმფრინავისადმი, მძლავრი, შეუფერხებლივ მომუშავე მოტორისადმი. კოკინაკისა და ბრიანდინსკის გამარჯვება — ეს არის ჩვენი ავიაციის, ჩვენი სტახანოველების გამარჯვება, მთელი ჩვენი ქვეყნის გამარჯვება.

ჩვენი მფრინავი ქალები გმირებს არ ჩამოუვარდებიან. მათაც ეხერხებათ — მაგრად ეპყრათ ხელში საჰაერო მანქანის საჭე. იმ დროს, როდესაც კოკინაკი და ბრიანდინსკი შორეულ აღმოსავლეთში ისვენებდნენ, სამმა მფრინავმა ქალმა პოლინა ოსიპენკომ, ვერა ლომაკომ და მარინა რასკოვამ ჰიდროთვითმფრინავით გადაიქროლეს შავი ზღვის ნაპირებიდან თეთრი ზღვის ნაპირებამდე.

ჰიდროთვითმფრინავი მიჰქროდა ქალაქების, სოფლების, მინდვრების, ტყეების თავზე. ჰიდროთვითმფრინავის ხმელეთზე იძულებული დაშვება ავარიას და, შესაძლოა, კატასტროფასაც უქადდა ეკიპაჟს. მაგრამ მფრინავებს მშვიდად და გაბედულად მიჰყავდათ მანქანა საბოლოო გამარჯვებამდე. მათ სწამდათ, რომ მანქანა, მოტორები, აერონავიგაციის ხელსაწყოები მათ არ უმტყუნებდნენ. ასევე კარგად იცოდნენ მათ, რომ თვითეული მათგანი დასძლევდა მინდობილ დავალებას.

ოსიპენკო, ლომაკო და რასკოვა მიფრინავდნენ ბედნიერნი, ამაყნი თავისი ქვეყნის ნდობით, აღფრთოვანებულნი მფრინავთა საუკეთესო მეგობრის — ამხანაგ სტალინისადმი სიყვარულით. და მათ გაიმარჯვეს, ბრწყინვალედ დაასრულეს თავისი გადაფრენა.

ოსიპენკოს, ლომაკოს და რასკოვას გამარჯვება — ესეც მთელი ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ავიაკონსტრუქტორების, ავიამშენებლების, სტახანოველების გამარჯვებაა.

სსრ კავშირი მძლავრი საავიაციო სახელმწიფოა.

ჩვენი ფრთოსანი მანქანები მშვიდობიან მიზნებს ემსახურებიან. თვითმფრინავებით გადაჰყავთ ავადმყოფები ექიმთან და ექიმი ავადმყოფებთან. მფრინავებს გადააქვთ ფოსტა, წამლები, პროდუქტები, წიგნები, ჟურნალები, გაზეთები. ყინულთა საჰაერო დაზვერვა ხელს უწყობს გემების მეთაურებს აირჩიონ ყველაზე უშიშარი და მოხერხებული რეისი, უჩვენებს სარეწაო გემებს თევზს, ზღვის ნადირს. ძნელია ჩვენი ავიაციის მუშაობის ყველა სახის ჩამოთვლა...

საბჭოთა მფრინავებისათვის არ არსებობს გაუვალი ადგილები, არ არსებობს გადაულახავი მარშრუტები. ისინი იხსნიან ხოლმე ზღვაში დახრჩობისაგან მეთევზეებს, ეძებენ ტაიგაში გზააბნეულ მონადირეებს, მათ არ ეშინიათ ნისლისა და ქარიშხლისა. ჩვენმა სტალინურმა შევარდნებმა იციან ფრენა ბრმა ფრენის პირობებში, იკვლევენ რა გზას მხოლოდ ხელსაწყოებით, შესანიშნავი, ჩვენს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში კონსტრუირებული ხელსაწყოებით.

ჩვენი ავიაციის სახე, როგორც სარკე, ისე ასახავს ჩვენი ქვეყნის კულტურასა და ძლიერებას, მის მისწრაფებას მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობისაკენ.

სოციალიზმის ქვეყნის ავიაცია მდიდარია არა მარტო საუცხოო საჰაერო ხომალდებით, მოტორებით, ხელსაწყოებით, არამედ სტალინური წრთობის ადამიანებითაც, — უშიშარ, მედგარ, ნიჭიერ, თავისი სამშობლოსადმი უსაზღვროდ ერთგულ მფრინავთა მთელი არმიითაც. ეს მფრინავები საგმირო საქმეებს გვიჩვენებენ თავიანთი ყოველდღიური მუშაობის დროს, ეს მფრინავები იპყრობენ არქტიკის ყინულოვან სივრცეებს, მათ გაჰყავთ ახალი ისტორიული ტრასები, ადიან ისეთ სიმაღლეზე, სადაც ჯერ კიდევ მსოფლიოს არცერთი მფრინავი არ ყოფილა.

ჩვენი საჰაერო მანქანები სრულყოფილი ხდებიან, სრულყოფილი ხდებიან მათი მეთაურებიც. მფრინავებს უკვე აღარ აკმაყოფილებს მოპოვებული რეკორდები. ისინი ოცნებობენ ახალ საუცხოო საავიაციო მიღწევებზე. ხოლო როდესაც ჩვენი მფრინავები ოცნებობენ, მათი ოცნება ხორციელდება იმიტომ, რომ ისინი ცხოვრობენ საბჭოთა ქვეყანაში, სადაც ხალხთა ბელადი ბრძენი სტალინი ყურადღებით ადევნებს თვალყურს მათს წარმატებებს, ეხმარება მათ.

დღეს ჩვენი მფრინავები რეკორდებს ამყარებენ, საჰაერო ტრასების ათვისებას ეწევიან სამშობლოს სახელით, სტალინის სახელით. ხვალ კი, თუ ომმა იფეთქა, ისინი სამოქალაქო თვითმფრინავებიდან საბრძოლო მანქანებზე გადასხდებიან და გაათკეცებული ენერგიით ეკვეთებიან მტერს მისსავე ტერიტორიაზე, დაიცავენ თავის ბედნიერებას—170 მილიონიანი საბჭოთა ხალხის ბედნიერებას.

ჩვენი ავიაციის სიმძლავრე, ჩვენი გამოცდილი და უშიშარი მფრინავების მგზნებარე პატრიოტიზმი გამარჯვების საწინდარია.

მტერი მოსპობილი იქნება!

თბილისის აეროპორტის სტახანოველები. ზედა რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ): მფრინავი ვასილ ვაგინი, ორდენოსანი მფრინავი დავით პაპუნაშვილი, ვახტანგ ბერიძე (სკოლის მსმენელი, ფრიადოსანი), ორდენოსანი მფრინავი რუსუდან ჟორდანია; ქვედა რიგში: მფრინავი ფ. სალამოვი, მფრინავი ვარტკეს ქურქჩიანი, აეროსკოლის ფრიადოსანი მსმენელი დიმიტრი ცოცხალაშვილი და ვასასი გასეიანი.

ფოტო რ. აკოფოვისა

პირველი ქართველი მფრინავი

„... ხვალ ნაშუადღევის 3 საათზე მფრინავი ვ. ქებურია ზღვის ნაპირას აფონის შოშის პირზე თავის გამოგონილ აპარატით გამართავს ფრენას“, ეს უცნაური ამბავი ამცნეს ქვეყანას გაზეთებმა ამ 26 წლის წინათ. ხალხი დიდად დაინტერესებული იყო ფრენისონობით. თბილისის ცაზე თვითეული აეროსტატის გამოჩენას დიდის აღტაცებით ხვდებოდნენ. სანამ ვ. ქებურია აპარატს გამოიგონებდა, მანამ ჩამოდიოდნენ უცხოელი მფრინავები და აეროსტატით „სასწაულს“ ახდენდნენ. ფრანგმა მფრინავმა გ. ბედემ მუშტაიდში ვირს მაგრად შეუკრა ფეხები და აეროსტატზე მიაკრა. შემდეგ შეაჯდა ზურგზე და ზღაპრული რაშივით ჰაერში აფრინდა. 300 მეტრზე აფრინდა აეროსტატი და შემდეგ ნელნელა დაეშვა, ხალხმა ბედეს გამარჯვება მიულოცა.

ამ დროს ვ. ქებურია თავის სახელოსნოში დაუღალავად მუშაობდა და აშენებდა თავის თვითმფრინავს, რომელიც საბოლოოდ 7 ათასი მანეთამდე დაუჯდა. მას დიდათ ეხმარებოდნენ ნაცნობ-მეგობრები, აძლევდნენ ფულს და ამხნევებდნენ. 1912 წლის 15 მარტს დიდუბის მინდორზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი და ქებურიას თვითმფრინავმაც ჰკრა კამარა. ვ. ქებურიამ 55 წუთი დაჰყო ჰაერში. მისმა წარმატებამ ხალხი აღტაცებაში მოიყვანა, ახლა არავინ მღეროდა ორი წლის წინათ განცდილი მარცხის გამო არტემ ახნაზაროვის მიერ გამოთქმულ ლექსს:

„მე ცაში ვეძებდი ქებუროვს ქებულსა,
არ მეგონა ვნახავდი მიწაზე გდებულსა“.

ეს ლექსი პირველად ვასო აბაშიძემ იმღერა თავის საბენეფისო წარმოდგენაზე, ის ელვის სისწრაფით გავრცელდა ხალხში. შემდეგ მოპოვებულმა გამარჯვებებმა საბაბი მისცა პოეტებს — ქების ლექსები მიეძღვნათ ქებურიასათვის.

1913 წელს ვ. ქებურიამ შესანიშნავი გაფრენები მოაწყო საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. აეროდრომად იგი იყენებდა ჭალებს და ზღვის ნაპირის მინდვრებს. ქებურიამ თავისი თვითმფრინავით ფრენა განახორციელა ქ. ხონში, სამტრედიაში, ფოთში და სხვ. ბედმა გაუღიმა, დიდი წარმატებები მოიპოვა. თუმცა მატერიალურად ხელმოკლეობას განიცდიდა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, თავის საყვარელ საქმეს მაინც არ ღალატობდა. ის მარტო იყო. მეფის პირისხლიანი მთავრობა არავითარ დახმარებას არ უწევდა, პირიქით, ხელსაც უშლიდა, თვითმფრინავის დასაფრენ მიწასაც არ აძლევდა.

საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში გადაფრენის დამთავრების შემდეგ ის გაემგზავრა ბათუმს.

პირველი ქართველი მფრინავი ვ. ქებურია ახლა 60 წლისაა და უსაზღვრო სიხარულით ევსება გული, როცა ხედავს საქართველოს მტრედისფერ ცაზე მოგუგუნე თვითმფრინავებს, საბჭოთა გმირი მფრინავების რეკორდები აღაფრთოვანებს მოხუცს. იგი ნატრობს დიდიხნის სიცოცხლეს, რომ მოესწროს საბჭოთა ქვეყნისა და საბჭოთა ავიაციის კიდევ უფრო აყვავებას.

კლ. გოგიავა.

სასამართლო

ალვირახსნილი მოთარეშე საჭესთან

12 ივნისს კავშირგაბმულობის სამმართველოს საბარგო ავტომანქანა № 02—53 დაუშვებელი სისწრაფით მოექანებოდა ბაზალეთიდან თბილისისაკენ.

შოფერმა სერგო ლევანის-ძე სუკიასოვმა დაკლაკნილ გზაზე საათში 50 კილომეტრი განავითარა, რის შედეგად თბილისიდან 12 კილომეტრის მანძილზე მანქანა ხრამში გადაიჩეხა.

ავარიის დროს ერთი მგზავრი—ლ. ბოგდანოვი იქვე გარდაიცვალა, მეორემ — მ. ოგანეზოვმა ცალი ფეხი დაკარგა, დანარჩენი სამი მგზავრი მსუბუქად დაშავდა.

საქართველოს უმაღლესმა სასამართლომ ამხ. პაპაიანის თავმჯდომარეობით 7 აგვისტოს გაარჩია ალვირახსნილ მოთარეშის სუკიასოვის საქმე და მიუსაჯა მას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელის მოხდის შემდეგ სერგო სუკიასოვს სამი წლით ჩამოერთმევა საარჩევნო უფლება.

შ. სურგულაძე.

შოფერების რ. პუტნეს და კ. ტოგონიძის საჯარო გასამართლება

როგორც ჩვენი გაზეთის 16 აგვისტოს ნომერში იყო გამოქვეყნებული, 15 აგვისტოს ელბაქიძის დაღმართზე მოხდა ავტომობილების ავარია, რაც გამოიწვია შოფერების რ. პუტნეს და კ. ტოგონიძის მიერ ქუჩაში მოძრაობის წესების უხეშად დარღვევამ.

კვლევაძიება ამ საქმეზე უკვე დამთავრებულია. შოფერები რ. პუტნე და კ. ტოგონიძე მიცემული არიან პასუხისგებაში.

საქმე გადაეცა სასამართლოს საჩვენებელი პროცესით განსახილველად.



მარცხნით—ერთერთი პირველი რუსი ავიატორის, მფრინავ სერგეი უტოჩკინის გაფრენა 1912 წლის 15 აპრილს მოსკოვში, ხოდინკის მინდორზე. მარჯვნით—თანამედროვე სასპორტო თვითმფრინავები ჰაერში სავარჯიშო ფრენაზე.

ნიკო შიუკაშვილის დაკრძალვა

გუშინ, 17 აგვისტოს, მიწას მიაბარეს გამოჩენილი ქართველი დრამატურგის ნიკო შიუკაშვილის ცხედარი.

საღამოს 4 საათზე თბილისის მშრომელებმა, მწერლებმა, დრამატურგებმა, მხატვრებმა, ხელოვნების და თეატრის მუშაკებმა თავი მოიყარეს ხელოვნების მუშაკთა სახლში.

გამოსვენების წინ გაიმართა სამოქალაქო პანაშვიდი. დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარემ ამხ. პ. კანდელაკმა თავის მოკლე სიტყვაში დაახასიათა განსვენებულის ცხოვრება და მოღვაწეობა.

მწერლებისა და დრამატურგების სახელით სიტყვა წარმოსთქვა დრამატურგმა ამხ. გ. ბუხნიკაშვილმა, ხელოვნებისა და თეატრის მუშაკების სახელით — სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ამხ. აკ. ვასაძემ.

სრულ 5 საათზე მწერლებმა და დრამატურგებმა სამგლოვიარო მუსიკის ჰანგების ქვეშ გამოასვენეს კუბო და პროცესია გაემართა ვაკის სასაფლაოსაკენ.

საღამოს 7 საათზე განსვენებული დრამატურგის ნიკო შიუკაშვილის ცხედარი მიაბარეს მიწას ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

ქამელეონი

ფოთი (საკ. კორ.) ნორჩმა ნატურალისტებმა კოლხიდის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის დირექტორს მიუყვანეს ხვლიკის მსგავსი ქვეწარმავალი, რომელიც ქამელეონი აღმოჩნდა.

გარემოს მიხედვით იგი სწრაფად იცვლის ფერს; როდესაც მწვანეზე დასვეს იგი წამსვე გამწვანდა, თეთრ ქაღალდზე გადაყვანისას გათეთრდა, ჭრელ ქსოვილზე დასმის დროს გაჭრელდა და სხვ.

ქამელეონი ნაპოვნია ზღვის პირას.

ამინდი

16 აგვისტოს დასავლეთ საქართველოში იყო ცვალებადი მოღრუბლულობა, სიმშრალე, ჰქროდა სუსტი ქარი. დღისით ყველაზე დაბალი ტემპერატურა (28 გრადუსი) აღნიშნული იყო ქობულეთსა და ბათუმში, ყველაზე მაღალი—34 გრადუსი—წიფაში.

აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებში იყო ცვალებადი მოღრუბლულობა, დანარჩენ რაიონებში მოწმენდილი ამინდი, ყველგან აღნიშნული იყო სიმშრალე, ჰქროდა სუსტი ქარი. ყველაზე დაბალი ტემპერატურა (20 გრადუსი) აღნიშნული იყო გუდაურში, ყველაზე მაღალი (37 გრადუსი)—თბილისში.

დღეს თბილისის მიდამოებში მოსალოდნელია მცირე მოღრუბლულობა, სიმშრალე, სუსტი ქარი; ტემპერატურა 20 გრადუსიდან ღამით 35 გრადუსამდე დღისით.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

19 აგვისტოს:

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი—ინდივიდუალური კონსულტაცია. რუსულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. კანტერე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ალკკ კაბინეტი — ლექცია თემაზე: ლენინ-სტალინის მოძღვრება ერთ ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვების შესახებ. ქართულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. ს. ლარცულიანი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

○

19 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში ქალაქის პარტაქტივისათვის შესდგება ამხ. ბ. ჟღენტის მოხსენება ქართულ ენაზე, თემა: 750 წელი პოემის „თქმულება იგორის ლაშქრობისა“ დაწერიდან.

შესვლა საშვები ბარათებით.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი.

საქფილმეთის საზაფხულო
თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. 3-18-50

სტალინგრადის მუსიკალური კომედიის
თეატრის გასტროლები
18 აგვისტოს ტალონი № 79 ქორწილი მალინოვკაში
19 და 20 აგვისტოს ტალონი № 80 და 81
პრემიერა სოროჩინის ბაზრობა
დასაწყისი სრულ 9 ს. 15 წ.
დაიწყო მუდმივი ადგილების მესამე გადასახდელის მიღება.

ღია ესტრადა
18 აგვისტოს
გამოსათხოვარი საღამო
სომხეთის სსრ რადიოკომიტეტის ხალხური საკრავების ანსამბლისა
ა. მერანგულიანის
ხელმძღვანელობით.
დაწვრილებით აფიშებში.
დასაწყისი საღ. 10 საათზე.
ესტრადაზე შესვლა ბაღის შესასვლელი ბილეთებით.

საქ. სსრ განსახკომის ქ. თბილისის პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებელში
გრძელდება პირველ კურსზე განცხადებების მიღება.
გამოცდები დაიწყება ა. წ. 21 აგვისტოს.
მსმენელები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით და საერთო საცხოვრებლით.
დაწვრილებითი ცნობები სასწავლებლის კანცელარიაში (შიო ჩიტაძის ქ. № 9).
1770
სასწავლებლის დირექცია.

თბილისის პირველი საფერშლო სკოლა
მომავალი 1938/39 სასწავლო წლისათვის აცხადებს მოსწავლეთა მიღებას ქართულ და რუსულ სექტორებზე.

სკოლა ამზადებს ექიმის თანაშემწეებს. მეცადინეობა სწარმოებს საღამოს საათებში. სწავლების ვადა 3 წელი. მიღებული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით არსებული წესის მიხედვით და შესაძლებლობის ფარგლებში საერთო საცხოვრებლით. სკოლაში მიიღებიან სათანადო გამოცდის შემდეგ ორივე სქესის მოქალაქენი 15-დან 35 წლამდე, რომელთაც მიღებული აქვთ განათლება არანაკლებ საშუალო სკოლის 7 კლასისა.

გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში: 1. დედა-ენაში (წერითი და ზეპირი), 2. მათემატიკაში (არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია—წერითი და ზეპირი), 3. ფიზიკაში, 4. გეოგრაფიაში, 5. პოლიტცოდნაში.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან: არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები და ის მოქალაქენი, რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლა ან მუშფაკი, ანდა ტექნიკუმი.

განცხადებების მიღება სწარმოებს დირექტორის სახელზე 25 აგვისტომდე. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას: 1. მოწმობა განათლების შესახებ (აუცილებლივ დედანი), 2. მეტრიკული ამონაწერი, 3. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ და 4. ორი ფოტოგრაფიული სურათი, პირადად ხელმოწერილი. გამოცხადებისას პირადად წარმოდგენილ უნდა იქნას პასპორტი. სწავლა დაიწყება პირველ სექტემბერს.

განცხადებისა და საბუთების გადმოგზავნა შეიძლება ფოსტითაც.

სკოლის მისამართი: თბილისი, ტექნიკური ქ. № 8, პირველი საფერშლო სკოლა, ტელეფონი 3-58-47.

კანცელარია მოთავსებულია მე-2 სართულზე (ოთახი № 13).
1764
სკოლის დირექცია.

ქართული საესტრადო სტუდია
აცხადებს პირველ კურსზე მიღებას
განცხადებების შემოტანა და მიღების პირობების გაგება შეიძლება სტუდიის კანცელარიაში—პლეხანოვის პროსპ. № 123; ყოველდღე დილის 12-დან 4 საათამდე.
გამოცდები 25 აგვისტოდან.
2—2 150
დირექცია.

ჯ. ს. ქ. თბილისის სანიტარული საფერშლო სკოლაში
1938-39 სასწ. წელს მოსწავლეთა მიღების პირობები
(ქართულ სექტორზე)

სკოლაში მიიღებიან მოქალაქენი 15-დან 35 წლამდე, რომელთაც დამთავრებული აქვთ შვიდწლედი.

გამოცდები იწარმოებს: 1) ქართულ ენაში (წერითი და ზეპირი), 2) მათემატიკაში (არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია—წერითი და ზეპირი), 3) ფიზიკაში, 4. პოლიტცოდნაში.

გამოცდები იწარმოებს 20-დან 25 აგვისტომდე. მეცადინეობა იწარმოებს საღამოს საათებში. სწავლის ვადა სამი წელი. უგამოცდოდ ჩაირიცხებიან საშუალო სკოლის: ათწლედის, მუშფაკის, ტექნიკუმის კურსდამთავრებულნი და აგრეთვე ისინი, ვისაც ფრიადზე აქვს დამთავრებული შვიდწლედის კურსი. განცხადების მიღება სკოლის დირექტორის სახელზე დილის 9 საათიდან 3 საათამდე (განცხადებები შეიძლება გამოიგზავნოს ფოსტით). საჭიროა შემდეგი საბუთების წარმოდგენა: განათლების მოწმობა (დედანი), მეტრიკული ამონაწერი, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ და ორი ფოტოგრაფიული სურათი, საბუთი სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების შესახებ. გამოცდებისას საჭიროა პასპორტის წარმოდგენა.

მისამართი: ქ. თბილისი, მუზეუმის ქ., № 9.
1760
სკოლის დირექცია.

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: საქდივნოსი 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40. მშრომელთა წერილების—3—73—24; პ-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის—3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ — 1429